

თამარ ისაბაძე

ბავშვთა ფსიქოლოგიის  
დღიურები



*წიგნი ეძღვნება ჩემს შვილს, ნიტა ჭეიშვილს*

თამარ ისაკაძე  
გავფვთა ფსიქოლოგის დღიურები

სამეცნიერო რედაქტორი: მერი ქელიძე  
ყდის დიზაინერი: თეონა ჭანიშვილი

ნიგნის მომზადება შესაძლებელი გახდა MAC Georgia-ს მცირე  
საგრანტო პროექტის მხარდაჭერით.  
Supported by MAC Georgia's Small Grants Project.

ნიგნში გამოყენებულია ნინი კენჭაძის, ვიქტორია მიდელაურის,  
მიკა ძიძიგურის, ნესტან ბურჯანაძის, ზვიად როსტიაშვილისა და  
ნინო ბაიდურის (პროექტიდან „ქალები საქართველოდან“) ფოტოები.

გამომცემლობა „არტანუჯი“

© თამარ ისაკაძე, 2017

ყველა უფლება დაცულია.

დაუშვებელია ნიგნში წარმოდგენილი მასალის გამოყენება და გავრცელება  
მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუა-  
ლებით, ავტორის ნებართვის გარეშე.

Tamar Isakadze  
DIARY OF A CHILD PSYCHOLOGIST

© Tamar Isakadze, 2017  
All right reserved

ISBN 978-9941-463-64-8

## სარჩავი

წინასიტყვაობა .....	7
როგორ არის წიგნი აგებული .....	10
რჩევები მკითხველს, თუ როგორ გამოიყენოს წიგნი .....	13
<b>I. ბავშვის განვითარების სელშეწყობა .....</b>	<b>15</b>
განმავითარებელი თამაშების მნიშვნელობა.....	20
რას გულისხმობს თამაშით სწავლა? .....	21
თერაპიული თამაში.....	24
პოზიტიური მშობლობა .....	28
<b>II. უამცნავი უნარების განვითარების სელშეწყობა.....</b>	<b>35</b>
ერთი დღე გართობისა და განვითარებისთვის .....	35
მაჭკატების მომზადება.....	40
კვირის ალბომი.....	45
საცხოვრებელი ქუჩის რუკა.....	50
<b>III. წინააპადემიური და აკადემიური უნარების განვითარების სელშეწყობა .....</b>	<b>55</b>
რას ვაკეთებ იმისათვის, რომ შვილს კითხვა შევაცუარო .....	55
კითხვის უნარები სკოლამდელ ასაკში.....	60
წერის უნარები სკოლამდელ ასაკში .....	63
მათემატიკური ამოცანები სახლში .....	66
ბავშვი არდადეგებზე – დასვენების უფლების რეალიზება .....	69
<b>IV. ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიების გამოყენება....</b>	<b>73</b>
სასურველი აქტივობის არჩევანის უფლება და აქტივობების ბალანსი .....	73
სასურველი ქცევის შექება ნაცვლად არასასურველი ქცევის კრიტიკისა .....	79
წახალისება და შექება ზრდის სასურველი ქცევის შედეგებს .....	84
ხშირად გავახაროთ ბავშვები.....	91





# წინასიტყვაობა

რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყველა ბავშვი იყოს ბედნიერი, იზრდებოდეს კეთილგანწყობილ გარემოში, მისი აღზრდა და განვითარება მიმდინარეობდეს ჰარმონიულად, ყოველ ასაკში სწავლობდეს იმას, რაც მისთვის საჭირო და საინტერესოა?!

მშობლობა იმთავითვე გულისხმობს სააღმზრდელო მიდგომების გამოყენებას, მაგრამ ხშირად ეს პროცესი გაუცნობიერებლად, მშობლის ინტუიციის ან მის ბავშვობისდროინდელ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიმდინარეობს, ზოგჯერ კი სტერეოტიპებზეა დამყარებული. ადრეულ ასაკში მიღებული გამოცდილება მთელი ცხოვრების განმავლობაში ახდენს გავლენას პიროვნებაზე და მის მიღწევებზე. თანამედროვე ფსიქოლოგიაში აქტუალურია „**პოზიტიური მშობლობის**“ ცნება, რომელიც ბავშვისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას გულისხმობს. არსებობს ვარაუდი, რომ ადრეულ ასაკში შექმნილი პოზიტიური განმავითარებელი გარემო საფუძველს უყრის მომავალში პიროვნების ბედნიერებასა და წარმატებას, ხოლო გარემოს შექმნა სწორედ მშობელზეა დამოკიდებული.

მშობლებს ხშირად უჩნდებათ კითხვები ბავშვის აღზრდისა და განვითარების შესახებ, რაც უკვე არის იმის საბაზი, რომ ისინი დაიწყებენ ინფორმაციის მოძიებას, როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს აღზრდაში, სწავლებისა და ნახალისების რომელ მეთოდებსა და სტრატეგიებს მიმართონ.





როგორც ცნობილია, მშობლები უფრო ხშირად მაშინ იწყებენ ბავშვთა ფსიქოლოგიით დაინტერესებას, როდესაც რამე სახის სირთულეს ნააწყდებიან, კვლევები კი ცხადყოფს, რომ აღზრდაში პრევენციული აქტივობების განხორციელება უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ეს თავიდანვე ამცირებს სირთულეების გამოვლენის რისკს.

წიგნის დაწერის იდეა სწორედ ამ საჭიროებების გათვალისწინებით გაჩნდა, რადგან ფსიქოლოგიური ხასიათის წიგნები ძირითადად უფრო სამეცნიერო ხასიათისაა, სფეროს სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი და ნაკლებად არის მისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის, ეს წიგნი კი ერთგვარი ექსპერიმენტია, რომ აქ მოცემული მასალა საინტერესო და პრაქტიკული იყოს ყველასთვის. წიგნში აღწერილია ამბები, რომლებშიც თავმოყრილია ფსიქოლოგიის სფეროში კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგნებები. ეს არის ცდა, რომ მკითხველს გასაგები ლექსიკით, საინტერესოდ და მხატვრულად მიეწოდოს ინფორმაცია ბავშვის განვითარებისა და აღზრდის შესახებ.

წიგნში მოცემული იდეები ძირითადად ყურადღებას ამახვილებს გარემოს ფაქტორებზე, რომელშიც მოიაზრება, როგორც მშობლის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულება ბავშვის აღზრდისადმი, ისე უსაფრთხო და განმავითარებელი რესურსების მისაწვდომობა; ზოგადად, სააღმზრდელო პირობების შექმნა და დაგეგმვა ბუნებრივ სიტუაციებში ბავშვის პოზიტიური აღზრდის მიზნით.

წიგნში მოცემული ინფორმაცია მკითხველს განუმარტავს, რა არის ინდივიდუალური მიდგომა, არაძალადობრივი აღზრდა, პოზიტიური საგანმანათლებლო გარემო, განვითარების ხელშემწყობი რესურსები, კომუნიკაცია, შემეცნებითი და აკადემიური უნარების განვითარება, ემოციების განვითარება, ქცევის პოზიტიური მართვა და სხვ.

ნიგნში წარმოდგენილი თითოეული ისტორია აღწერს განვითარებისა და სწავლების სხვადასხვა საკითხს, სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებს, მკითხველს სთავაზობს აღზრდის ისეთი სტრატეგიების გამოყენებას ყოველდღიურობაში, როგორებიცაა: აღმოჩენით სწავლა, თამაშით სწავლა და სხვ.

გარდა ამისა, შემოთავაზებულია პრევენციული აქტივობები, რაც იმას ნიშნავს, რომ პოზიტიურად დაგეგმილი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო თავიდანვე ხელს შეუწყობს ბავშვის ჰარმონიულ და არატრავმულ განვითარებას.

აღნიშნული ნიგნი ასევე გთავაზობთ სარეკომენდაციო ხასიათის აქტივობებს, თუ როგორ შეიძლება გაუცნობიერებელი მშობლობა აქციოთ პოზიტიურ აღზრდად, ხელი შეუწყოთ ბავშვის განვითარებას და დაეხმაროთ ბავშვს სირთულეების დაძლევაში.

ყველა ამბავი და ისტორია, რომელსაც ნიგნში გაეცნობით, ემყარება ნიგნის ავტორის ცოდნასა და პრაქტიკას, საკუთარ შვილთან და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის საფუძველზე დაგროვილ პირად გამოცდილებასა და ისტორიებს.

ნიგნის მიზანია მშობლების ინფორმირება პოზიტიური მშობლობის (Positive Parenting) შესახებ და ამ მიმართულებით სარეკომენდაციო აქტივობების შეთავაზება.





## როგორ არის წიგნი აგებული


თუ თქვენ ამ წიგნის კითხვა დაიწყეთ, შემიძლია ვივარაუდო, რომ გაინტერესებთ ის რთული და საინტერესო საკითხები, რომლებიც ბავშვობის წლებსა და პოზიტიურ მშობლობას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ წიგნი განკუთვნილია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის მშობლებისთვის, საბავშვო ბაღის აღმზრდელებისა და სკოლის მასწავლებლებისთვის, ასევე იმ სპეციალისტებისთვის, რომლებიც 2-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვების განათლების საკითხებზე მუშაობენ. წიგნში წარმოდგენილი აქტივობები და რეკომენდაციები საინტერესო და პრაქტიკული ხასიათის იქნება შეზღუდული შესაძლებლობების ან/და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებისა და მათთან მომუშავე სპეციალისტებისთვისაც.

წიგნის განსაკუთრებულობა და განსხვავება სხვა საგანმანათლებლო ტიპის გზამკვლევისაგან ის გახლავთ, რომ აქ წარმოდგენილი საკითხები რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში მკითხველი ძირითადად თეორიებს ეცნობა, აქ კი შემოთავაზებულია ამ თეორიებზე დაყრდნობით პრაქტიკაში გამოცდილი წარმატებული შემთხვევები და შედეგები, რომელთა გაზიარებაც და გამოყენებაც ყველა მშობლისა და სპეციალისტისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

წინამდებარე წიგნში მკითხველისთვის შემოთავაზებული რეკომენდაციები და აქტივობები ემყარება განათლების ფსიქოლოგიის განვითარებისა და სწავლების შემდეგ თეორიებს:

- ▶ **სწავლების გიჰვიორული თეორია**, რომელიც შეისწავლის ქცევის განმტკიცებაზე მოქმედ ფაქტორებს, სასურველი ქცევის წახალისებას, ქცევის გამოყენებით ანალიზს (ინდივიდის ქცევის სიღრმისეული შესწავლა და მისი ქცევის გაუმჯობესება), მოტივაციის აღძვრასა და შენარჩუნებას;
- ▶ **ალბერტ ბანდურას სწავლის სოციალურ-კომპიუტური თეორია**, რომელიც აქცენტს აკეთებს მიბაძვისა და სხვათა ქცევის დაკვირვების ფაქტორზე სწავლასა და განვითარებაში;
- ▶ **ჟან პიაჟეს კომპიუტური განვითარების თეორია**, რომლის გამოყენება ადრეულ ასაკში მნიშვნელოვანია სენსორული და თვალსაჩინო მასალების სწორად გამოყენების თვალსაზრისით ბავშვის შემეცნებითი განვითარების უზრუნველსაყოფად.
- ▶ **ლევ ვიგოტსკის თეორია**, რათა მშობელმა სწორად შეაფასოს ბავშვის განვითარების აქტუალური დონე და თანამიმდევრულად იმუშაოს განვითარების უახლოეს მისაღწევ დონეზე – ბავშვთან ერთად დასახოს საშუალო სირთულისა და მისთვის ადვილად მისაღწევი ამოცანები;
- ▶ **ბრუნერის თეორია**, რომელიც ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისთვის გვთავაზობს იდეას, რომ ბავშვს მივანოდოთ არა მზა პასუხები, არამედ შევუქმნათ კრეატიული სიტუაციები, რათა ის თავად მივიდეს შედეგებამდე;
- ▶ **ჰუმანისტური თეორია** აქცენტს აკეთებს აღზრდაში ემპათიის, გულწრფელობისა და კეთილგანწყობის მნიშვნელობაზე. ამ თეორიის მიხედვით, ბავშვის პიროვნების განვითარება დადებითი თვითშეფასებისა და თვითაქტუალიზაციის ჩამოყალიბებით მიიღწევა. ჰუმანიზმის მიხედვით, დაფასება, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, პატივისცემა და ნდობა ხელს უწყობს სწავლას.



- 
- ▶ **მარია მონტესორის იდეოლოგია**, რომლის თანახმად, მნიშვნელოვანია საგანგებოდ ბავშვისთვის შექმნილი გარემო, სენსორული და თვალსაჩინო სასწავლო მასალები და ისეთი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომ ხელი შეეწყოს ბავშვს, განვიტაროს ინიციატივა, დამოუკიდებლობა, თვითრეგულაცია, თანაგრძნობა.

წიგნში შემოთავაზებულ სარეკომენდაციო აქტივობებში გამოყენებულია სწავლების ისეთი სტრატეგიები, როგორებიცაა: აღმოჩენით სწავლა, თამაშით სწავლა, მულტიმოდალური სწავლება, კეთებით სწავლა, კონსტრუქტივიზმი, პრაგმატიზმი.


წიგნის მიზანია, მშობლებს გაუწიოს დახმარება პოზიტიური და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემოს შექმნაში, ასევე ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარების მიზნით შესაბამისი რესურსების შერჩევაში.

ხშირ შემთხვევაში აქტივობებში მოცემული საკითხები შეიძლება ერთმანეთის გადამფარავი ან ინტეგრირებული იყოს, მაგალითად, სარეკომენდაციო აქტივობა შემეცნებითი უნარის განვითარებისთვის თავისთავად მოიცავდეს სოციალური ან/და აკადემიური უნარის განვითარების კომპონენტსაც, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის აქტივობების გამოყენების მცდელობებს.

## რჩევები მკითხველს, თუ როგორ გამოიყენოს წიგნი

- ▶ აქტივობები ეფუძნება ფსიქოლოგიაში გავრცელებულ თეორიასა და პრაქტიკას, თუმცა თქვენ კითხვისას გაეცნობით უშუალოდ ისტორიებს, რომლებიც აღწერს პრაქტიკას და გთავაზობთ პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებს;
- ▶ თითოეულ ისტორიაში შემოთავაზებული საკითხები პრევენციული სახისაა, რაც იმას გულისხმობს, რომ ამგვარი მიდგომით შესაძლებელია პრობლემების თავიდან აცილება აღზრდაში;
- ▶ აღწერილი ისტორიები ძირითადად რეალურ გარემოში თამაშდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი საოჯახო რუტინული აქტივობა ან პარკში გასეირნება შეიძლება ბავშვის განმავითარებელ გარემოდ აქციოთ;
- ▶ შესაძლებელია წარმოდგენილი აქტივობების მზა სახით, უცვლელად გამოყენება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მისაღებაა გარკვეული ცვლილებების შეტანა, აქტივობის გამდიდრება ან მხოლოდ მისი მცირე ნაწილის ინტეგრირება საოჯახო თუ სკოლამდელი ასაკის დაწესებულების ფარგლებში;
- ▶ აღნიშნული აქტივობები ხელს შეგიწყობთ, გააუმჯობესოთ ბავშვებთან ურთიერთობა. შეგიძლიათ განაზოგადოთ ესა თუ ის რეკომენდაცია და გამოიყენოთ თქვენთვის შესაფერის სიტუაციაში;



- 
- ▶ აქტივობები დამყარებულია პოზიტიური აღზრდის პრინციპზე – „როგორ ვასწავლოთ ისე, რომ არ ვავნოთ“;
  - ▶ გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს მიდგომები ერთადერთი გზა არ არის ბავშვის რაიმე სახის სირთულესთან გასამკლავებლად, თუმცა შესაძლოა წიგნის ნაკითხვის შემდეგ უკეთ ამოიცნოთ პრობლემა და მისი საფუძვლიანი გადაჭრის მიზნით სპეციალისტებს მიმართოთ;
  - ▶ აქტივობები პოზიტიური აღმზრდელობითი პროგრამის შემადგენელი ნაწილია, ორიენტირებულია აკადემიური და კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაზე, ქცევის პოზიტიურ მართვაზე, ასევე ბავშვის ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებასა და წარმატებაზე.

# ბავშვის განვითარების ხელშეწყობა

ადამიანის განვითარება ჩასახვიდან იწყება და მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. კვლევები ცხადყოფს, რომ მუცლად ყოფნის პერიოდშივე ემბრიონი საკმაოდ რთულ და საინტერესო ეტაპებს გადაის, რათა ის მომზადებული მოევილინოს სამყაროს: აქტიურად ვითარდება მისი ცენტრალური ნერვული სისტემა, სენსორული და მოტორული უნარები. დაბადების შემდეგ, გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, ბავშვები აწყდებიან სხვადასხვა სირთულეს, რომელთა გადალახვა უნდა ისწავლონ, მშობლებს უჩნდებათ კითხვები, შესაბამისად, პროფესიონალებისა და სპეციალისტების დახმარება მნიშვნელოვანია, რათა მშობელმა შეძლოს კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციებით ხელმძღვანელობა. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ბავშვს განვითარებაში ეხმარება და ზიანის მიდგომისგან იცავს განვითარებული მეცნიერება, საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა, ბავშვთა უფლებების კონვენცია, კვლევებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მიგნებები და სხვ.

ბავშვთა ჰარმონიული განვითარებისთვის ფსიქოლოგები ხშირად არა მხოლოდ ბავშვებთან მუშაობენ ინდივიდუალურად, არამედ მშობლებთანაც, რადგან სწორედ მშობელმა უნდა ისწავლოს ადეკვატური მიდგომების გამოყენება ბავშვთან მისი განვითარების ხელშეწყობისთვის.

დღეისათვის ბავშვის განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა „პოზიტიური აღზრდის“ ცნებაში ერთიანდება, ხოლო მშობელს, რომელიც აღზრდაში სწორ, პოზიტიურ, მხარდაჭერ და განმავითარე-





ბელ სტრატეგიებს იყენებს, „**პოზიტიურ მშობელს**“ უწოდებენ. პოზიტიური მშობელი არ ნიშნავს ზედმეტად ლიბერალურ და ძალიან დამთმობ მშობელს, არც ავტორიტარულს და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიმდებლს.

**პოზიტიური მშობლობა** – ეს არის აღზრდაში თანამიმდევრული და სიყვარულით სავსე მიდგომა, რომელიც თავისუფლებასა და კონტროლს შორის ბალანსის დაცვას ცდილობს და აქცენტს აკეთებს ბავშვის ძლიერ მხარეებზე, ნახალისებასა და მხარდაჭერაზე.

ბავშვის განვითარება რამდენიმე სფეროს მოიცავს, შესაბამისად, განვითარების ხელშეწყობა მოიაზრებს ყველა სფეროს აქტუალიზებას. ადამიანის განვითარება ძირითადად 3 სფეროს აერთიანებს: ფიზიკურს, კოგნიტურსა (შემეცნებითს) და ფსიქოსოციალურს.



**ფიზიკური განვითარება** მოიცავს ისეთ ფიზიკურ მახასიათებლებს, როგორებიცაა: სხეულის ზრდა-განვითარება, სენსორული უნარები (შეგრძნებები – მხედველობა, სმენა, შეხება, სუნი, გემო), მოტორული უნარები. ადრეულ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა.

**შედეგებითი (კომუნიკური) განვითარება** მოიცავს გონებრივ შესაძლებლობებსა და ფსიქიკურ პროცესებს: აღქმას, ყურადღებას, მემორირებას, აზროვნებას, მეტყველებას, წარმოსახვას.

**ფსიქოსოციალური განვითარება აერთიანებს პიროვნულ და სოციალურ უნარებს:**

- ▶ **პიროვნული განვითარება** მოიცავს ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებს, თვითშეფასებას, მე-კონცეფციას, პასუხისმგებლობისა თუ თვითკონტროლის უნარებს, ემოციებს, გრძნობებს, განცდებს.
- ▶ **სოციალური განვითარება** – ეს არის ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბებული ქცევები. ხშირად ის კავშირშია პიროვნულ განვითარებასთან, რადგან სოციალური ურთიერთობების საფუძველზე ყალიბდება ადამიანში პიროვნული უნარების ფართო სპექტრი.

ადამიანის საზოგადოებაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია **ადაპტური უნარები**, როგორებიცაა: კომუნიკაცია, თავის მოვლა, საოჯახო საქმიანობა, სოციალური და ინტერპერსონალური ჩვევები, საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩვევები, თვითმართვა, აკადემიური ჩვევები, შრომითი საქმიანობა, დასვენება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. **ბავშვობის ასაკში მნიშვნელოვანია თვითმომსახურების უნარ-ჩვევების სწორად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.**





დღეისათვის მეცნიერები თანხმდებიან, რომ **ადამიანის განვითარება გარემოსა და თანდაყოლილი ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია**. გარემო ფაქტორებში მოიაზრება, როგორც ბავშვის გარშემო არსებული ფიზიკური გარემო – ბაზისური უნარების დაკმაყოფილების საშუალებები (საკვები, წყალი, სითბო), სწორად შერჩეული სათამაშოები და ინვენტარი, ისე სააღმზრდელო გარემო ფაქტორები, რომლებშიც იგულისხმება ფსიქოლოგიური კლიმატი, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მიდგომები, თამაშისა და მეცადინეობის აქტივობები, ის სამეცნიერო ლექსიკა, რომელსაც ბავშვთან საუბრისას ვიყენებთ, მისდამი განწყობა, მოლოდინები, მიმართვის ფორმები, მის მიმართ გამოხატული გრძნობები და სხვ.



ცხადია, ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ფსიქოსოციალური სფეროები იზოლირებულად, ბუნებრივი სიტუაციებიდან განყენებულად ვერ განვითარდება. მშობლები ხშირად მიმართავენ ფსიქოლოგებს ისეთი პრობლემებით, როგორებიცაა დაბალი შედეგები ბავშვის სწავლაში, ქცევაში გამოვლენილი სირთულეები – მაგალითად, გამომწვევი (პრობლემური) ქცევა, დაბალი თვითშეფასება, წარუმატებლობის შიში, თანატოლებთან ან უფროსებთან ურთიერთობის სირთულეები და სხვ., მაგრამ ამ ქცევებზე მუშაობა იზოლირებულად, მხოლოდ ფსიქოლოგის კაბინეტში ეფექტური არ იქნება, თუ ოჯახის სხვა წევრები და, პირველ რიგში, მშობლები არ შეისწავლიან, როგორ შეიძლება ზემოთ დასახელებული პრობლემების მართვა ნებისმიერ სიტუაციაში. მაგ., წარუმატებლობის შიშის დაძლევაზე შესაძლოა ფსიქოლოგმა ეფექტურად იმუშაოს ბავშვთან სპეციალური მეთოდებით, მაგრამ მნიშვნელოვანია, ამ მეთოდებზე დაფუძნებული რეკომენდაციები გაითვალისწინონ მშობლებმაც, რათა მუშაობა მშობელსა და ფსიქოლოგს შორის ურთიერთშეთანხმებული იყოს.

ერთობლივი ვახშამი, თამაში თუ პარკში გასეირნება ყოველთვის ქმნის ისეთ ვითარებას, სადაც შეიძლება ბავშვს ვასწავლოთ მათემატიკა, კითხვა, საკუთარი ძალების რწმენა ეფექტური შექებისა და დადებითი უკუკავშირის მიწოდებით.

ბავშვის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ფუნქციური უნარების განვითარებას სხვადასხვა გარემოში: სახლში, ბაღში, ეზოში, ზოოპარკში, მაღაზიაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კინოთეატრში და სხვ. ამ დროს მშობლის ძირითადი მიზანია, იყოს ბავშვზე ორიენტირებული და მისი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით მისცეს უკუკავშირი, დაუსახოს ამოცანები, დაანახოს შედეგები, განუვითაროს სამეცნიერო ლექსიკა, მისცეს დადებითი უკუკავშირი, ზოგადად, შექმნას პოზიტიური აღმზრდელობითი გარემო.



## განმავითარებელი თამაშების მნიშვნელობა


შვეიცარიელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე მიიჩნევდა, რომ ბავშვი პატარა მკვლევარია, მეცნიერია, ის დაკვირვებისა და გარემოსთან ურთიერთობის საფუძველზე შეიმეცნებს სამყაროს და აკეთებს აღმოჩენებს, შესაბამისად მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ბავშვის გარემომცველი მიკროსამყარო, რათა მან გააკეთოს აღმოჩენები და ხელი შეეწყოს მის ინტელექტუალურ განვითარებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ბავშვის ნახალისება მშობლის მხრიდან, შექება, მოტივაციის აღმძვრელი ბიძგის მიცემა, რათა ბავშვი ინტერესით მოეკიდოს საქმიანობებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის ემოციური განვითარება, წარმატების შეგრძნების განცდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვმა შეიძლება უარი თქვას ახალ-ახალ აქტივობებში მონაწილეობის მიღებაზე „შეცდომის დაშვების“ შიშით.

ცნება „განმავითარებელი თამაში“ გულისხმობს ისეთი ტიპის თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების განვითარებას ფიზიკური, შემეცნებითი, პიროვნული და სოციალური მიმართულებებით. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ მშობელმა ნებისმიერი თამაში შეიძლება აქციოს „განმავითარებლად“, თუ ის მას სწორად დაგეგმავს. თამაშის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინება. განმავითარებელი თამაშები ხელს უწყობს ახალი უნარ-ჩვევების განვითარებას, ვითარდება სააზროვნო უნარები, მეტყველება, კრეატიულობა (შემოქმედებითობა), უნარ-ჩვევების გარდა, ბავშვი იძენს ცოდნას და ინფორმაციას იმ თემებზე, რაც მისთვის აქამდე უცხო იყო. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ თამაში ბავშვის ბუნებრივი და წამყვანი ქცევაა, ამრიგად, თამაშით სწავლა მისთვის სპონტანური და სახალისო პროცესია.

## რას გულისხმობს თამაშით სწავლა?

დღეს განათლების ფსიქოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თამაშით სწავლების სტრატეგიებს, რადგან ეს ბავშვებისთვის უფრო მისაღები და დემოკრატიული ფორმაა და სასწავლო შედეგებიც უფრო სწრაფად და წარმატებით მიიღწევა. „**თამაშით სწავლა**“ გულისხმობს სწავლების ისე დაგეგმვას, რომ თამაშის ელემენტებს მოიცავდეს და მეორე მხრივ, სასწავლო გარემოს თამაშის ელემენტებით გამდიდრებას. მაგალითად, შინაური და გარეული ცხოველების გარჩევა, შეკრება-გამოკლების სწავლა, სიტყვების კითხვა





შეიძლება ლოტოს თამაშით წარიმართოს. შესაძლოა თვლა კიბეებზე ასვლის პროცესში ვისწავლოთ, ამ დროს მოტორული უნარებიც ვითარდება, ხოლო თუ ბავშვი მაკრატლით გამოჭრის დიდი ზომის ასო-ბგერებს, ამით ასოების ცნობასაც ისწავლის და ნატიფ მოტორულ უნარებსაც განივითარებს.

### **ჩაკომენდაციები თამაშით სწავლის წარმართვისთვის**

- ▶ **თამაშით ბავშვს** – თამაშეთ ბავშვებთან ერთად, როგორც სამაგიდო თამაშები (ლოტო, მოზაიკა), ისე მოძრავი თამაშები (ზოგჯერ გუბეებში მშობლებთან ერთად ხტომა ყველაზე დიდი ბედნიერების მომტანია ბავშვისთვის);
- ▶ **ელაპარაკით ბავშვს** – თამაშის დროს ელაპარაკეთ ბავშვს. სამეტყველო ლექსიკის განვითარებისთვის მშობელმა საგნების მანიპულირების დროს ზეპირი სახელდებაც უნდა გააკეთოს, მაგალითად, თუ სურათებს აფერადებთ, სიტყვებიც მოიშველიეთ ახალი ცნებების სწავლისა და გამტკიცებისთვის, ვთქვათ: „მე ახლა წითელი ფერის ფანქარს ავიღებ, შენ ლურჯი ფერით აფერადებ გემს, მე სათლელით გავთალე ფანქარი, ახლა შენ სცადე, მარჯვნივ შეგიძლია საშლელი დაიდო“;
- ▶ **აქციით სწავლა თამაშად და გამოიყენეთ თამაშის სწავლისთვის** – აქციით მეცადინეობა თამაშად და პირიქით, თამაშში გამოიყენეთ აკადემიური უნარების განვითარებისთვის;
- ▶ **სათამაშოები ყველგან შვიკლიათ აღმოაჩინოთ** – დაგეგმეთ სხვადასხვა სახის თამაშები. სათამაშო რომ განმავითარებელი ფუნქციის მატარებელი იყოს, არ არის აუცილებელი მხოლოდ მაღაზიაში ნაყიდი პროდუქცია და ნივთები, ცნობილია, რომ ცომის მოზელის პროცესი ან კვერცხისა და შაქრის

ათქვეფა უფრო სიამოვნებს ბავშვს და თან სენსორულ და კოგნიტიურ განვითარებას უწყობს ხელს;

- ▶ **ჩამოყალიბეთ საკუთრების განცდა ნივანის მიმართ** – ნივანები ასაკის შესაბამისად შეარჩიეთ. აუცილებელია, ბავშვმა ის ნივანი ხშირად ათვალიეროს, რომელიც მოსწონს, დაეხმარეთ, ჰქონდეს თავისი საყვარელი ნივანი, ადგილი, სადაც თავის ნივანებს ინახავს. ბავშვის ლექსიკაში, სასურველია, არსებობდეს ფრაზა: „ჩემი ნივანი“. ნაუკითხეთ მოკლე ლექსები და მოთხრობები. ნ წლამდე ბავშვის ყურადღებისა და მებსიერების მოცულობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ აკონტროლეთ წასაკითხი გვერდების რაოდენობა და კითხვის დრო. წახალისეთ, რომ გადაფურცლოს ნივანი, „თითი გააყოლოს“ ნაწერს, ვითომ კითხულობს, მოჰყვეს ნივანში გადმოცემული ამბავი. ეს კითხვის უნარის განვითარების საწყისი სტადიაა (დანყებითი ნივანიერება);
- ▶ **შეაქება** – შეაქეთ, როდესაც საქმეს კარგად გააკეთებს, იქნება ეს კონსტრუქტორის აწყობა თუ ხელების დაბანა, შეაქეთ მოქმედების შესრულების ძალისხმევა და მცირე მცდელობაც კი, გამოთქვით იმედი და გამოხატეთ ოპტიმისტური განწყობა, რომ შედეგი მეტი მონდომებითა და გავარჯიშებით მეტად გაუმჯობესდება. არ შეადართო სხვა ბავშვებს, არამედ შეადართო მისი ამჟამინდელი შედეგი წარსულ შედეგს და აღნიშნეთ გაუმჯობესება. ამით ბავშვს ოპტიმისტური განწყობა ჩამოუყალიბდება და მეტად იქნება ორიენტირებული წარმატებაზე.



## თერაპიული თამაში

თერაპიულ თამაშს ადრეულ წლებში ძირითადად ბავშვთა ფსიქოლოგები იყენებდნენ, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ გარდა ბავშვთან ჩატარებული თერაპიისა, მნიშვნელოვანია, მშობელმაც ისწავლოს და გამოიყენოს თერაპიული თამაშის ელემენტები შვილთან ურთიერთობაში, რათა შედეგები უფრო მყარი გახდეს. ამ შემთხვევაში მშობელს არ მოეთხოვება ფსიქოლოგიის დარგების მეცნიერულ დონეზე შესწავლა, ეს ძალიან არაეფექტური და დროში ხანგრძლივი იქნებოდა. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვის



თერაპევტი სიღრმისეულად შეაფასებს ბავშვს და დაწერს დასკვნას, ის, ერთი მხრივ, ადგენს ბავშვის განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, ხოლო მეორე მხრივ, სწორედ ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია მშობლის ჩართულობის გაზრდა ბავშვის აღზრდაში და მისთვის რეკომენდაციების მიცემა. თერაპიული თამაშები ბავშვებთან პრევენციული ხასიათის აქტივობაცაა ბავშვის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.


## **თერაპიული თაგაპი ხალს უწყოზს გოოგალს:**

- ▶ დაამყაროს და შეინარჩუნოს პოზიტიური კომუნიკაცია ბავშვთან;
- ▶ შეამციროს ბავშვის შფოთვა;
- ▶ დაეხმაროს ბავშვს თვითშეფასების ამალღებაში;
- ▶ განუმტკიცოს დადებითი ქცევები;
- ▶ დაეხმაროს მეტყველების განვითარებაში;
- ▶ დაეხმაროს გრძნობების გამოსატყვაში;
- ▶ დაეხმაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში.

## **გოოგლის მიერ განსორციღეღებული თერაპიული თაგაპი უბღღეღ კრიტირიუბღს აყრღწოგა:**

- 1. გამოყავით ღწო თერაპიული თაგაპისთვის** – ღწო მშობლისთვის მოსახერხებელი უნღა იყოს, თქვენ წინასწარ უნღა იცოღღეთ, რომ არსად გეჩქარებათ და გაუთვალისწინებელი ფაქტორების გამო თამაშს დათქმულზე აღრე არ დაამთავრებთ. თამაშს, სასურველია, ჰქონღღეს ხანგრძლივობა 30 წუთი და ის ყოველთვის ამღღენ ხანს უნღა გრძელღღებოღღეს. ამგვარი თამაში ეფექტურია ჩატარღღეს თავდაპირველად ღღეგამოშვებით, შემღღეგ – კვირაში ორჯერ.
- 2. გამოყავით აღგიღი თაგაპისთვის** – წინასწარ შეარჩიეთ აღგიღი სახლში, რომელიც წყნარი და უსაფრთხო იქნება. ბავშვს აუხსენით, რომ ამ ღწოს აქ ითამაშებთ ხოლმე და ეს თქვენი სათამაშო აღგიღია.
- 3. იყავით თაგაპზე კონცენტრიღებული** – თერაპიული თამაშის წარმართვა დაუშვებელია სხვა საქმის კეთების პარალელურად, მაგალითად, როგორიცაა ტელეფონზე საუბარი, წიგნის კითხვა ან ფიღმის ყურება. თქვენ მთელი ეს პერიოდი – 30 წუთი – ბავშვთან სრულფასოვან კომუნიკაციას უნღა დაუთმოთ და გამოსატოთ მნიშვნელოვანი ღღინტერესება აქტივობის მიმართ.



- 
4. **მიცით გავვს თავისუფლება თამაშის დროს** – ბავშვი თამაშის წამყვანი უნდა იყოს. შესთავაზეთ არჩევანი, რის თამაშში სურს. ეს შეიძლება იყოს ლოტო, სახლობანა, კუბების აწყობა, მანქანები, ხატვა, ძერწვა და სხვ.
  5. **გაითვალისწინეთ, რომ ნასაზი მხოლოდ უსაფრთხოებას ეხება** – განსაზღვრეთ უსაფრთხოების წესები, რაც გულისხმობს იმას, რომ ნივთების დაზიანება, ჯანმრთელობისთვის საშიში/მავნე ნივთიერების გამოყენება იკრძალება; ეს მშვიდად და არგუმენტირებულად აუხსენით ბავშვს;
  6. **იმოქმედეთ კრიტიკის გარეშე** – არ გააკრიტიკოთ ბავშვი სათამაშოს ან თამაშის ფორმის არჩევის გამო, გახსოვდეთ: თქვენ მას არჩევანი მიეცით და ისიც გენდოთ, შესაბამისად, არჩევანის უფლება მას ნდობასა და თვითგამოხატვას განუვითარებს;
  7. **ისაუბრეთ თამაშის განხილვა** – თამაშის პროცესში დაამყარეთ დიალოგი ბავშვთან, დაუსვით კითხვები, გაუზიარეთ გამოცდილება, წაახალისეთ მისი საუბარი;
  8. **შეაქეთ და გაუღიამეთ** – მისი წარმატებული ქმედებები გულწრფელად შეაქეთ, აღნიშნეთ, რა გამოუვიდა კარგად. თუ გარკვეული აქტივობა მისთვის ახალია და ჯერ ვერ ახერხებს (მაგ., თოჯინის ჩაცმას ან ლეგოს დეტალის მორგებას), მიეხმარეთ, აჩვენეთ და შემდეგ სთხოვეთ, დამოუკიდებლად გაიმეოროს;
  9. **დაეხმარეთ ემოციების გამოხატვაში** – მიეცით საშუალება, გამოხატოს ნებისმიერი ემოცია, რომელიც თამაშის დროს აღეძვრება. ეს შესაძლოა იყოს სიხარული ან შიში, ბრაზი ან სევდა. როლური თამაშის პროცესში ემოციების გამოხატვა ბავშვს იმ ნეგატიური ემოციებისგან „დაცლაში“ დაეხმარება, რომლებიც შესაძლოა ანუხებდეს.

**10. თამაშის პოლუს გადასახლეთ მაღლოვა** – აღნიშნეთ, რომ მასთან თამაში ძალიან მოგწონთ და თავს კარგად გრძნობთ.

სასურველია, რომ თამაშის შემდეგ გააკეთოთ ჩანანერები, თუ რა წარმატება და სირთულე დაინახეთ, რა იყო დამაფიქრებელი, რამ მიიქცია თქვენი ყურადღება, რა აღმოაჩინეთ ისეთი, რაც აქამდე არ იცოდით.

გახსოვდეთ, თერაპიული თამაშის მიზანია თქვენსა და ბავშვს შორის დადებითი ურთიერთობის განვითარება, დადებითი ურთიერთობა კი ხელს უწყობს ბავშვის ზოგად განვითარებას ყველა სფეროში.





## პოზიტიური მშობლობა

პოზიტიური მშობლობა ბავშვის აღზრდაში სასარგებლო და პრაქტიკული მიდგომაა, რომელიც ორიენტირებულია აღზრდის პოზიტიურ მხარეზე. პოზიტიური მშობელი ყოველთვის უდასტურებს მხარდაჭერას ბავშვს ურთიერთობაში, უთმობს პოზიტიურ ყურადღებას და უცხადებს ნდობას, რათა დაეხმაროს მას განვითარებაში. მშობელი აქცენტს აკეთებს ბავშვის ძლიერ მხარეებზე, ეს კი ისეთ ოჯახურ გარემოს ქმნის, სადაც არის სიყვარული, ბავშვს აქვს მხარდაჭერა და როგორც ბავშვის, ისე მშობლის ქცევა პროგნოზირებადია. თანამედროვე აღმზრდელობითი მეთოდებიდან პოპულარულობით სარგებლობს პოზიტიური აღმზრდელობითი პროგრამები. ხშირად ბავშვები ამა თუ იმ რთული ქცევის გამო ფსიქოლოგთან ხვდებიან, ბავშვთა ფსიქოლოგები კი, გარდა იმისა, რომ ამ დროს ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობენ, უფრო მეტ რესურსს დებენ მშობლებთან მუშაობის თვალსაზრისით, რათა მშობელთან ერთად შეადგინონ პოზიტიური აღმზრდელობითი პროგრამები. ბავშვის არასასურველი ქცევები იკლებს და ქრება მხოლოდ მაშინ, როცა მშობელი ისწავლის პოზიტიური მშობლობის ელემენტებს. **კვლევები ცხადყოფს, რომ პოზიტიური მშობელი ამავედროულად წარმატებული მშობელია.**

### რას ნიშნავს პოზიტიური აღმზრდელობითი პროგრამა


ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები ზოგადი ხასიათისაა და მათი გამოყენება მნიშვნელოვანია ყველა ბავშვთან პრევენციული



კუთხით. ეს მიდგომები პოზიტიური აღმზრდელობითი პროგრამის ნაწილია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ფსიქოლოგთან კონსულტაცია და პრობლემის სიღრმისეული შესწავლა და ინტერვენცია.

**1. პოზიტიური ყურადღება.** ბავშვებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მათთან გატარებული დროის ხანგრძლივობა, არამედ ურთიერთობის ხარისხიც. ხშირად მშობელი შეიძლება მთელი დღის მანძილზე ბავშვის გვერდით იყოს, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურ დონეზე და არ დაუთმოს ყურადღება მის ძლიერ მხარეებსა და გამოვლენილ დადებით ქცევებს. მშობლებს ხშირად ჰგონიათ, რომ თუ ბავშვი „კარგად იქცევა“, „კარგად ხატავს“ ან „კარგად აწყობს ფაზლს“, ეს ისედაც ბუნებრივი და ნორმალურია, ამიტომ მხოლოდ უარყოფით ქცევებზე აძლევენ უკუკავშირს. შედეგად კი ვღებულობთ იმას, რომ ყურადღების მისაპყრობად ბავშვი იწყებს „ცუდად






მოქცევას“ (უმეტესად არაცნობიერად), რასაც არასასურველი ქცევების მთელ ჯაჭვთან მივყავართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, ბავშვს ხშირად დაუთმოთ პოზიტიური ყურადღება, შევაქოთ, გადავუხადოთ მადლობა, აღვნიშნოთ მისი წარმატება. შესაბამისად, გაიზრდება „კარგი ქცევების“ რაოდენობა, რადგან მას მხარდაჭერა ჰქონდა მშობლის მხრიდან. ამ მაგალითით ცხადია, რომ ბავშვის კარგი ქცევის ბიძგის მიმცემი სწორედ მშობელი გამოდის, ეს არის პოზიტიური მშობლობის პირველი ნაბიჯი. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ყურადღებას ხელოვნური სიტუაციების შექმნა არ სჭირდება, ის ჩვენს ყოველდღიურობაში უნდა ვეძებოთ და დავიჭიროთ.

- 2. მოქმედებაში სიტყვების ნაცვლად.** ზოგჯერ ჩვენ, მშობლები, ძალიან ბევრ შენიშვნასა და მითითებას ვაძლევთ ბავშვებს. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მშობლები, რომლებიც საკუთარი შვილების არასასურველ ქცევებზე ჩიოდნენ და ამავდროულად აღნიშნავდნენ, რომ ბავშვს „თითქოს ყურში არ ესმის მისი ნათქვამი“, დღეში ასამდე შენიშვნას აძლევდნენ ბავშვს. საოცარია, მაგრამ რაც უფრო იმატებს სიტყვიერი შენიშვნა, მით უფრო იკლებს სასურველი ქცევა. ფსიქოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბევრ შემთხვევაში ხმამაღალი სიტყვიერი შენიშვნები უსარგებლოა, სამაგიეროდ, დადებითი შედეგი აქვს მოქმედებებს. მაგალითად, თუ ბავშვი არ დებს ნიჟარაში თავის საყვარელ თეფშს, საჭმელი სხვა თეფშზე დაუდეთ და მიზეზად დაასახელეთ ის, რომ „თეფში ნიჟარაში არ იდო“, ნაცვლად კრიტიკისა და შენიშვნის მიცემისა, რატომ არ ჩადო თეფში ნიჟარაში.
- 3. საკუთარი ქალაქის რწმენა.** მიეცით ბავშვებს მათთვის შესაფერის საქმიანობებში ჩართვის უფლება, რათა თავი სრულფასოვან და ძლიერ პიროვნებებად იგრძნონ. თუ მშობელი ამის

უფლებას არასოდეს აძლევს ბავშვს, მაშინ ბავშვმა შესაძლოა არასასურველი გზები გამოიხატოს საკუთარი სიძლიერისა და უნარიანობის დასამტკიცებლად. იმისთვის, რომ ბავშვმა თავი დაფასებულად იგრძნოს, ჰკითხეთ მისი ასაკის შესაფერისი რჩევა ან მიეცით არჩევანის უფლება. მიეცით საშუალება, დაასაბუთოს თავისი აზრი და ყურადღებით მოისმინეთ. ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, ამის მაგალითები შემდეგია: საყიდლებზე წამოყოლა და მოხმარება, ყოველთვიური ხარჯების გეგმის შედგენაში მონაწილეობა და სხვ. აქ გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ ბავშვს არ უნდა დავავალოთ მისთვის დამამცირებელი საქმის შესრულება, რაც ჩვენთვისაც არ არის სასიამოვნო, მაგალითად, თუ ნაგვის გატანა არავის უნდა ოჯახში და ამას ბავშვს ავალებთ, ეს მისთვის, პირიქით, დამამცირებელია და დაფასების განცდას არ გაუზრდის. გამოსავალი შესაძლოა მორიგეობის დაწესება იყოს ნაგვის გატანაზე. პოზიტიური მშობლობის პროგრამა ისეთი საქმიანობის შერჩევას გირჩევთ, რომელიც ღირსების შემცველია.

- 4. ლოგიკური შედეგის გამოყენება.** მშობლის ქცევები ბავშვისთვის პროგნოზირებადი და თანამიმდევრული უნდა იყოს, ბავშვმა უნდა დაინახოს ლოგიკა, თუ მის გარკვეულ ქცევას რა შედეგი მოსდევს. ამით ის საკუთარი ქცევის კონტროლსაც ადვილად ისწავლის და დისციპლინური ნორმების ხშირი შეხსენება აღარ დასჭირდება. მაგალითად, თუ სასკოლო დავალების შესრულება მოწონებას იმსახურებს, საოჯახო ვახშამზე შოკოლადის დესერტიც დაახვედრეთ, ან სხვა მისთვის სასიამოვნო ჯილდო, ეს შეიძლება ახალი კომპიუტერული თამაში იყოს. ჯილდო ყოველთვის მის ინტერესს უნდა შეესაბამებოდეს. თუ სასკოლო შედეგებმა იკლო და ატყობთ, რომ ბავშვი ძალისხმევას აღარ დებს მეცადინეობაში, შეუმცირეთ ყოველდღიური





ხარჯების თანხა. გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის „დასჯა“, პოზიტიური მშობელი დასჯას არასოდეს იყენებს, ის ქცევის შედეგებს აკონტროლებს. ასევე არ შეიძლება „შევამციროთ“ ის, რაც ბავშვს ეკუთვნის, როგორც არასრულწლოვანს მშობლისგან, მაგალითად, ყოველდღიური კვების რაციონი, ტანსაცმელი თუ საჭირო სკოლის ნივთები. გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული ქმედებები, როგორც წესი, ბავშვზე ძალადობის კონტექსტში განიხილება.

**5. გუნაპრივი შედეგების გამოყენება.** ზოგჯერ ჰკითხეთ თავს: „რა მოხდება, თუ ამაში აღარ ჩავერევი?“ დაივინყეთ შენიშვნის მიცემა ან მის მაგივრად საქმის კეთება. ამით ბავშვი მიეჩვევა გამოსავლის დამოუკიდებლად პოვნას. მაგალითად, თუ კიდე დაავინყდა სკოლაში წასაღები სპორტული ფეხსაცმელი სპორტის გაკვეთილისთვის, ბუნებრივი შედეგი იქნება ის, რომ ბავშვი ველარ ითამაშებს სპორტის გაკვეთილზე. ამიტომ შეეცადეთ, ერთად მოძებნოთ გამოსავალი, მაგალითად, გასასვლელ კარზე შეიგნიდან მიაკარით წარწერა ან ნახატი შეხსენებისთვის – „ფეხსაცმელი“.

**6. სიტყვების კონტროლი.** შეეცადეთ, არ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, რომელთა მოსმენა მისგანაც არ გაგიხარდებოდათ. ელაპარაკეთ მშვიდი ტონით, მისთვის გასაგები ლექსიკითა და მოკლე წინადადებებით. დამაზუსტებელი შეკითხვებით შეამოწმეთ, გაიგო თუ არა თქვენი ნათქვამი. შეამცირეთ აგრესიის შემცველი, დამამცირებელი და ნეგატიური კონტექსტის მქონე სიტყვები. გაითვალისწინეთ, რომ მუდმივად კომენტარის გაკეთება და შენიშვნის მიცემა არასასურველ ქცევასთან დაკავშირებით არასასურველი ქცევის უნებურ განმტკიცებას ახდენს.

- 7. ქცევისა და პიროვნების გამოიწვევა.** არასოდეს უთხრათ ბავშვს, რომ ის ცუდია. თუ მისი კონკრეტული ქცევა არ მოგწონთ, გამოყავით ეს ქცევა და აღნიშნეთ კონკრეტული პრობლემა. მაგ.: „კარგია, რომ დღეს თამაშობდი, მაგრამ სათამაშოები რომ ძირს ყრია, ეს არ მომწონს, გთხოვ, სათამაშოები ყუთში ჩაყარე, როცა თამაშს დაასრულებ“. პრობლემური ქცევის აღნიშვნისას ყოველთვის გამიჯნეთ ქცევა პიროვნული მახასიათებლისგან. ამით შენარჩუნდება და არ დაქვეითდება ბავშვის თვითშეფასება. დისციპლინური ნორმების არაადეკვატური მითითება ხშირად ხდება ბავშვის დაბალი თვითშეფასების მიზეზი.
- 8. თანამიმდევრულობა.** თუკი ბავშვს რამეს ჰპირდებით, ყოველთვის უნდა შეასრულოთ. უმჯობესია, ბავშვს მცირე და შესრულებად რამეს დაჰპირდეთ, ვიდრე მაღალფასიანს და შეუსრულებელს. ამით ბავშვი ისწავლის ნდობას, პასუხისმგებლობას და თვითონაც არ მიეჩვევა ტყუილებს.
- 9. ვმოქლის სიტყვებისა და ქცევის თანხვედრა.** ზოგჯერ მშობელი ბავშვს აძლევს შენიშვნას და რჩევებს ისეთ რამეზე, რასაც თვითონ არასოდეს აკეთებს. ბავშვები კი უფრო მეტად იმას იმეორებენ, რასაც ხედავენ. მაგალითად, თუ თქვენ ხმამაღლა და აგრესიულად ყვირით და ამ დროს თქვენი საუბრის შინაარსი ზრდილობას ეხება, ბავშვს აგრესიული ქცევის მაგალითს აძლევთ, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ შედეგად ბავშვი აგრესიულ ქცევას გაიმეორებს და არა ზრდილობის ნორმებს. მნიშვნელოვანია, თავად ზრდასრულის ქცევებსა და სიტყვებში იყოს თანხვედრა, რათა ის მისაბაძი იყოს ბავშვისთვის. შეეცადეთ, ვერბალური და არავერბალური მესიჯი ერთმანეთს ემთხვეოდეს – მაგალითად, თუ შენიშვნას აძლევთ, ამ დროს, სასურველია, არ ილიმებოდეთ.



**10. ოპტიმიზმის გამოხატვა.** რაც უნდა უკმაყოფილო იყოთ ბავშვის კონკრეტული ქცევით, არასოდეს უთხრათ, რომ მისი აღარ გჯერათ და მისგან არაფერი გამოვა. ყოველთვის გამოხატეთ ოპტიმიზმი და უთხარით, რომ მისი გჯერათ და დაეხმარებით პრობლემების მოგვარებასა და გამოსავლის ძებნაში. თქვენი ოპტიმიზმი მასაც მომავლის იმედს შესძენს.

**11. სოციალური მხარდაჭერა.** ხელი შეუწყვეთ ბავშვს, ხშირად იმყოფებოდეს თანატოლების გარემოცვაში, დაპატიჟეთ ბაღის/სკოლის მეგობრები სტუმრად სახლში და ბავშვიც ატარეთ სტუმრად.



## ერთი დღე გართობისა და განვითარებისთვის

ბავშვთან ერთად გატარებული ერთი დღის მაგალითზე თქვენ გაეცნობით საინტერესო აქტივობებს, თუ როგორ შეიძლება ვაქციოთ ყოველდღიური რუტინა ბავშვისთვის შემეცნებითი უნარების განსავითარებელ და სახალისო პროცესად.

### 9:00 – საუზმე და მათემატიკა


„ერთად მოვამზადოთ საუზმე. ავილოთ 3 თეფში: დიდი, საშუალო და პატარა. თეფში რომელ გეომეტრიულ ფიგურას ჰგავს? წრეს, სამ-

საუზმის პროცესი მრავალფეროვანი გახდება, თუ სხვა საჭირო უნარების განვითარებასაც დავუთმობთ დროს. ამ შემთხვევაში ჩვენ დრო დავუთმეთ მათემატიკურ უნარებს: თვლას, გეომეტრიულ ფიგურებს, შედარებას სიდიდის მიხედვით, გრამების შესწავლას, გაზომვას, გაყოფას.

კუთხებით სწავლა სწავლების პრაქტიკული სტრატეგიაა, ბავშვი ამ დროს აქტიურია, ხედავს ნიმუშებს და თვალსაჩინო მასალებს, ჩართულია მშობელთან ერთად საინტერესო აქტივობაში, იზრდება მისი მოტივაცია.

კუთხედს თუ ოთხკუთხედს? წრეს, ყოჩაღ! ავილოთ ჩანგალი. რამდენი კბილი აქვს ამ ჩანგალს? 4! მომანოდე პატარა კოვზი. ჩვენ გვინ-





და 100 გრამი რძე კაკაოს მოსამზადებლად. აბა, რომელ ჭიქას აქვს დანაყოფები გრამების დასათვლელად? ჩავასხათ რძე, 50 გრამამდე ავიდა ნიშნული, უკვე 100 გრამია. ყველაზე პატარა პურის ნაჭერი მომანოდე. ბუტერბროდი გავაკეთოთ. რისგან მზადდება? ყველი, კარაქი. კვერცხიც მოიხარშა, მდულარე წყლიდან ამოვიღებ, შენ ძალიან ცივი წყალი გადაავლე და გაფცქვენი. დროა, პატარა ადაპტირებული დანის გამოყენებაც ისწავლო. რამდენი ნაჭერი გამოვიდა? 3...4! ზუსტად შუაზე გაყავი და ნახევარი ჩემს თევშზე დადე. გმადლობ!“

ფსიქოლოგები განასხვავებენ ბავშვის არავერბალურ და ვერბალურ აზროვნებას. არავერბალური აზროვნება ბავშვის წარმოდგენებია, რომლებიც თვალსაჩინო მასალის საფუძველზე ექმნება მას, ხოლო ვერბალური, სიტყვიერი აზროვნება სამეტყველო გარემოში ვითარდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, ბავშვთან ურთიერთობისას ნებისმიერი აქტივობის დროს გამოყენებული ნივთები, მოქმედებები მშობლის მხრიდან სახელდებული იყოს. ეს გაამდიდრებს ბავშვის ლექსიკურ მარაგს და ხელს შეუწყობს არავერბალური აზროვნების განვითარებას.

### 11:00 – გამოვნიება, კალენდარი და ამინდი

„რას ჩაიცვამ? აბა როგორი ამინდია დღეს? ნახევრად ღრუბლიანი, ნახევრად მზიანი. მოდი, ამინდის პროგნოზი ვნახოთ. ნახე, კალენ-

მიეცით ბავშვს არჩევანის საშუალება და დაეხმარეთ გემოვნების ჩამოყალიბებაში. პრაქტიკული უნარების გავარჯიშება კალენდრის გამოყენებითა და ამინდის ვებგვერდის ან მობილური აპლიკაციის გაცნობითაც შეიძლება.

დარში დღეს რა რიცხვია და იმის მიხედვით მოძებნე დღევანდელი ამინდი. თან, სხვადასხვა ამინდის აღმნიშვნელი სიმბოლოების აღ-

ქმაც ვისწავლოთ. წვიმაა დღისით გამოცხადებული? ქოლგა დაგ-  
ვჭირდება. რომელ კაბას ჩაიცვამ: წითელს თუ ლურჯს? კარგი,  
იყოს წითელი – მშვენიერი არჩევანია. რა ფერის ჟაკეტი მოუხდება  
ამ კაბას? მართალია, ამ ჟაკეტს წითელი ყვავილები ახატია და ფე-  
რები კაბის შესაფერისი იქნება.


### 13:00 – ბუნების აღქმა

მგონია, რომ ბუნებასთან სიახლოვე რაღაც განსაკუთრებული მოვ-  
ლენაა ბავშვების განვითარებისთვის. პარკში სეირნობა, გირჩების,  
წიწვების შეგროვება, მწერებზე დაკვირვებაც კი. ბუნების აღქმა,  
ფერების, სუნის, ხმების შეგრძნება ბავშვის შემეცნების განვითარე-  
ბას აუმაჯობებს. ვიზუალური, სმენითი, ტაქტილური შეგრძნებე-

**ბუნებასთან სიახლოვე ხელს უწყობს ინფორმაციის სხვა-  
დასხვა სენსორული არხით მიღებასა და გადამუშავებას,  
რაც დადებითად მოქმედებს განვითარებაზე.**

ბის საშუალებით სხვადასხვა ინფორმაცია უფრო ცხადად შემოდის  
ბავშვის გონებაში. როდესაც ინფორმაცია სხვადასხვა სენსორული  
(შეგრძნებითი) არხით მიიღება, ამას მულტისენსორული გზით ინ-  
ფორმაციის აღქმა და გადამუშავება ჰქვია, ამიტომ პარკში ან სადმე  
სხვაგან ბუნებაში ამ შეგრძნებების გააქტიურება ბავშვების განვი-  
თარებაზე დადებითად მოქმედებს. სასურველია, ამ პროცესს ფიზი-  
კური აქტივობაც ერთვოდეს: სირბილი, ხტუნვა, დიდი და პატარა  
ნაბიჯებით სიარული, რაც მოტორული უნარების განვითარებას უწყ-  
ობს ხელს.









### **20:00 – სასურველი ქცევის ნახალისება**

უფროსებს ხშირად გვიჩნდება კითხვები ბავშვის დასჯისა და ნახალისების შესახებ. ბავშვის დასჯა, ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორიებისა და კვლევების მიხედვით, საერთოდ გაუმართლებელია. თუ ბავშვის რომელიმე ქცევა რთულად მიგვაჩნია, „ქცევის გამოყენებითი ანალიზის“ სპეციალისტები გვიჩვენებენ, ჯერ დავთვალოთ ამ რთული ქცევის სიხშირე და ხანგრძლივობა, ვნახოთ მისი წინაპირობა (მოვლენა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ქცევის გამოვლენას) და შემდეგ ვეცადოთ წინაპირობის შემცირებას, ჩანაცვლებას ან აღმოფხვრას, რათა რთული ქცევაც შემცირდეს და საბოლოოდ გაქრეს. საუკეთესოდ მუშაობს ნახალისების ცხრილიც, რომელიც სასურველი ქცევის სიხშირის გაზრდაზეა ორიენტირებული.

მაგალითის სახით, შეიძლება, განვიხილოთ ჩემი შვილის ნახალისების ცხრილი. ამ ეტაპზე ჩემს შვილთან სამიზნე ქცევა, რომლის სისხშირის გაზრდაც მინდა, არის „თამაშის შემდეგ სათამაშოების ყუთებში მოთავსება“. ამისთვის ასეთ ცხრილს ვიყენებ:

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
						
						
						

ჩემი მიზანია ამ მეთოდით სასურველი ქცევის („სათამაშოების ალაგება“) განმტკიცება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ნახალისებას (ნებოვან აპლიკაციას, ე. წ. სტიკერს, „სმაილიკს“) ვიყენებ მაშინ, როდესაც სასურველი ქცევა გამოვლინდება, ხოლო არასასურველი ქცევის შემთხვევაში („არ ალაგებს სათამაშოებს“) არანაირ დასჯას არ ვიყენებ, უბრალოდ, ცხრილში შესაბამის ადგილს ცარიელს ვტოვებ და სტიკერს არ ვუკრავ. სტიკერებთან ერთად ვიყენებ სოციალური ტიპის განმამტკიცებელსაც, როგორცაა შექება, მადლობის გადახდა.

სტიკერების გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ ხდება სტიკერების გადაცვლა უფრო დიდ ჯილდოში, თუმცა არ არის აუცილებელი, „დიდი ჯილდო“ მატერიალური იყოს. ეს შესაძლოა იყოს კინოს ბილეთები, რამე სახის აქტივობა. მცირე ასაკის ბავშვებთან რეკომენდებულია განმამტკიცებელი იყოს მყისიერი, ხოლო უფრო დიდებთან დროში გადავადებული, მაგალითად – კვირის ბოლოს.





## მაჭკატების მომზადება

სამზარეულოში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა, როგორებიცაა ცხობა, სალატებისა თუ წვნიანის მომზადება, შესაძლებელია გამოყენებული იყოს იმ მიზნით, რომ ბავშვს განუვითარდეს შემეცნებითი უნარები, ისწავლოს საქმის დამოუკიდებლად ან თანამონაწილეობით ორგანიზება, დაგეგმვა და განხორციელება. ქვემოთ განხილულია, კერძისა თუ დესერტის მომზადების პროცესში ბავშვი მშობელთან ან სხვა გამოცდილ პირთან თანამშრომლობით რა სახის შედეგებს მიაღწევს. გამოიყენეთ მაჭკატების რეცეპტი შემეცნებითი უნარების, ორგანიზებისა და დაგეგმვის ჩვევის განვითარებისთვის.

ბავშვის განვითარების ხელშეწყობა და მისი ცხოვრებისეული გამოცდილების გამდიდრება სახალისო და საინტერესო ქმედებად რომ ვაქციო, მასთან ერთად მაჭკატების (ოლადების) გამოცხოვას ვინყებ. ამ აქტივობის დახმარებით ნიტამ უკვე 3 წლის ასაკიდან ბევრი უნარი განივითარა, ასევე ხელი შეეწყოს მის ემოციურ განვითარებას, რადგან სამზარეულოში ოჯახის წევრებთან თუ მეგობრებთან ერთად მზადების პროცესი შეიძლება ერთგვარი თერაპიული ეფექტის მქონეც იყოს. სამზარეულოში ბავშვს საშუალება ეძლევა, უშუალოდ შეეხოს სხვადასხვა პროდუქტს, მოსინჯოს ხელით, შეიგრძნოს სუნი, გემო, ნახოს და დააკვირდეს, როგორ გარდაიქმნება და იცვლის სახეს პროდუქტები გახეხვის, გათქეფვის, დაჭრის, ცხოვისა თუ მოხარშვის შედეგად.

დღეს მაჭკატების დღეა! ეს კი გულისხმობს საინტერესო დილას, გართობას, თამაშს, ამავედროულად პროდუქტიულობასა და განვითარებას, ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, კვებას.

რა იცის ბავშვმა მაჭკატების შესახებ? როგორია მისი გამოცდილება?



ნიტას აქამდე უკვე ნანახი აქვს მაჭკატების მომზადების პროცესი, უნახავს, რომ დედა ჯამში რაღაც პროდუქტებს აერთიანებს. განსაკუთრებით იზიდავს ფქვილის ჩაყრის პროცესი და ფქვილით თამაშს ითხოვს, ანუ ყველაზე საინტერესო, ემოციური და ხელით შესაგრძნობი მისთვის აქამდე, უნდა ვაღიაროთ, მხოლოდ ფქვილთან და ცომთან ხელით შეხება იყო, რომელიც აუცილებელია, მოწესრიგებულად დაიგეგმოს მშობლის მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სამზარეულოში ქაოსს მივიღებთ, რაც საყვედურებით დამთავრდება ან საერთოდ მოვარიღებთ ბავშვს სამზარეულოს.

დადებითი ეფექტისთვის კი შეგვიძლია ყველაფერი ბავშვთან ერთად დავგეგმოთ და მისი ჩართულობა უფრო ფუნქციური და სასარგებლო გავხადოთ.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი საქმლისა თუ ნუგბარის მომზადება რეცეპტის ნაკითხვითა და მომზადების პროცესის დაცვით უნდა წარიმართოს, თუმცა 3 წლის ბავშვის უნარები ჯერ არ არის ისე ჩამოყალიბებული, რომ მან ნაკითხვა და რამე სიის, ჩამონათვალის დამახსოვრება ვერბალურად შეძლოს. შესაბამისად, ბავშვს ვთავაზობთ თვალსაჩინო ნახატებს, სურათებს, რომლებიც დაეხმარება მასალის ვიზუალურ აღქმაში.

ერთად ვეძებთ ინტერნეტში (ან ძველი ჟურნალებიდან ამოვჭრით) მაჭკატების მომზადებისთვის საჭირო პროდუქტების სურათებს და ვქმნით თვალსაჩინო სიას, ნაცვლად სიტყვებისა, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. შესაბამისად, ვიღებთ დასურათებულ რეცეპტს.





მაჭკატების მომზადება, შეიძლება, რამდენიმე ეტაპისგან, კერძოდ 3 ეტაპისგან, შედგებოდეს, თითოეულ მათგანს თავისი ეფექტი და შედეგი აქვს განვითარებისთვის:

**1. რასურსების მომზადების პროცესი.** მე ხმამაღლა ვკითხულობ სიას თანამიმდევრულად ყოველი სიტყვის ამოკითხვის შემდეგ ბავშვთან ერთად ვეძებ სურათებს, რომლებსაც ვჭრით, ვაფერადებთ, ვანებებთ (შესაძლოა, გაკეთდეს ორგვარად: როგორც ვიზუალური ცხრილის სახით, ისე ცალკეული ბარათები, რომლებიც თანამიმდევრულად იქნება დანომრილი და ერთ კონვერტში ჩაიდება).

**შედეგი** – ამ აქტივობით ვითარდება შემდეგი უნარები: სიტყვების შესაბამის თვალსაჩინო სურათებთან დაკავშირება, არჩევანის გაკეთება, ნატიფი მოტორული უნარების გავარჯიშება, ვიზუალურ-სივრცითი უნარების განვითარება.

**2. პროდუქტების შექმნა** – ჩვენ უკვე გვაქვს ფოტოებისგან შედგენილი სია, რაც 3 წლის ბავშვისთვის ადვილი აღსაქმელია, შესაბამისად, ჩვენ თვალსაჩინო ცხრილით მივდივართ მაღაზიაში


და ჩემი დახმარებით ნიტა სურათის მიხედვით თანამიმდევრულად არჩევს პროდუქტებს.

**შედეგი** – ამ პროცესში ბავშვი ეცნობა მოვლენების თანამიმდევრობას, სწავლობს ორგანიზებასა და დაგეგმვას, უვითარდება სოციალური და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.

- 3. მაჭკატაგის (ოლადაგის) მოზადავა** – ვიზუალური სია გამოკრული მაქვს კედელზე, ნიტა თითოეული სურათის შესაბამის პროდუქტს ათავსებს თასში, ამით სწავლობს ნიმუშის მიხედვით მოქმედებას. ამ დროს მნიშვნელოვანია ნახალისება და ვერბალურ ინსტრუქციასთან ერთად საგნებზე ხელით მინიშნებაც.

**შედეგი** – ბავშვი სწავლობს რეალური ნივთების სწორად გამოყენებას, პროცესის ორგანიზებას, თანამიმდევრობის დაცვას, ეცნობა რეალურ პროდუქტებს, მისი ცოდნა არა მხოლოდ პასიურია, არამედ აქტიური და გამოცდილებაზე დაფუძნებულიც.





ზემოთ აღწერილი აქტივობა ვარიაციების შესაძლებლობას იძლევა. მშობელს, აღმზრდელს ან მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს მსგავსი აქტივობები სხვადასხვა კერძის მოსამზადებლად. ასე თანდათანობით ბავშვი რეცეპტების ვარიანტებს დააგროვებს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ აქტივობის პრიორიტეტული მიზანია ზოგადი უნარების განვითარება, ფუნქციური ცოდნის ათვისება, პრაგმატულობა და ნაკ-

ლებად არის ორიენტირება კულინარიული უნარების განვითარებაზე. კულინარია ამ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც საშუალება და უფრო მაღალი კოგნიტური უნარების განვითარების რესურსი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული აქტივობის, ისევე, როგორც ამ წიგნში მოყვანილი სხვა აქტივობების გამოყენება წარმატებით შესაძლებელია როგორც ბიჭებთან, ისე გოგონებთან.

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ სამზარეულოში აქტივობების განხორციელება მაქსიმალურად უსაფრთხო უნდა იყოს, მოარიდეთ ბავშვი მისი ასაკის შეუფერებელ ბასრ, წვეტიან და ა. შ ნივთებს. მაგალითად, აუცილებელია, შუშის თასი ჩანაცვლდეს ხის ან პლასტმასის თასით, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ყურადღება მიაქციეთ პროდუქტების ტემპერატურას.

## უვირის ალბომი


სკოლისადმი მზაობის ერთ-ერთი მაჩვენებელი კრიტერიუმია ბავშვის მიერ დროში ორიენტირების საკითხი, ის, თუ როგორ შეუძლია მას, განასხვავოს ცნებები „გუშინ“, „დღეს“ და „ხვალ“, შეძლოს საქმიანობის დროში დაგეგმვა. ქვემოთ განხილულია მეთოდოლოგია, რომელიც ბავშვს დაეხმარება, ვიზუალიზაციის საშუალებით შეძლოს დროის ნაწილების თვალსაჩინოდ დანახვა და გაცნობიერება.

- ▶ როდის არის ჩემი დაბადების დღე?
- ▶ როდის მოვა ახალი წელი?
- ▶ ხვალ მიყიდი სათამაშოს?

ამ და ბევრ მსგავს შეკითხვას სვამენ ბავშვები, რომლებიც დროში ორიენტაციის უნართანაა დაკავშირებული. დროის აღქმა არავერბალური აზროვნების განვითარებასთან ერთად ვითარდება, თუმცა მშობელს შეუძლია დაეხმაროს ბავშვს, რათა მან უკვე 3-4 წლის ასაკიდან გაცნობიეროს დროში მიმდინარე პროცესები, თუ ვიზუალურ და თვალსაჩინო მასალებს გამოიყენებს ახსნის პროცესში. ბავშვები უკეთ იაზრებენ, იმასსოვრებენ და იძენენ ცოდნას, თუ თვალსაჩინო მასალებს გამოვიყენებთ.

დაახლოებით 3 წლის ასაკიდან მშობელს უკვე შეუძლია დროში მიმდინარე პროცესები ნახატების სახით შესთავაზოს ბავშვს. ამით ის ბავშვს დაეხმარება ისეთი ცნებების ათვისებაში, როგორებიცაა: „ჯერ“, „შემდეგ“, „მანამდე“, „ადრე“, „გვიან“.





თუ ბავშვმა უკვე იცის კვირის დღეების ზეპირად ჩამოთვლა და დროის აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მექანიკური დამახსოვრებით გააზრებასაც შეძლებს, თუმცა ამ სიტყვების დასწავლა უკვე საფუძველია, რომ გააზრებაც შეძლოს.

ერთი კვირის მანძილზე დაისახეთ მიზნად ყოველდღე მომხდარი რამე ფაქტი ფოტოკამერით გადაიღოთ. ყოველდღე თითოეული სურათი ჩააკარით შესაბამის ალბომში ან გააკარით კედელზე შესაბამისი თანამიმდევრობით. მაგალითად, ასე:



ეს აქტივობები ბავშვის ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციების ფრაგმენტები უნდა იყოს. შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- ▶ შეეცადეთ, სურათებზე ასახოთ განსხვავებული სიტუაცია, რაც მიმდინარე კვირის დანარჩენ დღეებში არ მომხდარა. მაგალითად, ჩაის დალევის პროცესი, შეიძლება, არ გამოდგეს იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტივობა ყოველდღიურია, რადგან ბავშვს გაუჭირდება მისი გამორჩევა და თანამიმდევრობაში გააზრება, ხოლო თუკი, მაგალითად, ოთხშაბათ დღეს ჩაი ახალი ან განსხვავებული ჭიქით დალია, მაშინ ეს მისაღებია, რადგან ფოტოზე სწორედ ახალი ან განსხვავებული ჭიქა იქნება აღბეჭდილი; შესაბამისად, ვიზუალურად გამოსახული ეს თვალსაჩინოება მას დროის აღქმის პროცესის გაცნობიერებაში დაეხმარება;
- ▶ გადაღებული ფოტო იმავე დღის ბოლომდე ამობეჭდეთ და შესაბამის ადგილას ჩააკარით, თან აუხსენით, რომ თქვენ მიმდინარე კვირის ალბომს აკეთებთ. ამობეჭდვა შესაძლებელია ჩვეულებრივ პრინტერზე. ფერადი სურათი, შესაძლოა, უკეთესი იყოს, თუმცა პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შავ-თეთრიც გამოდგება;
- ▶ ყოველი დღის ფოტოს ჩაკვრის დროს ზეპირადაც უთხარით: „ნახე, ჩვენ ამ სურათს აქ ჩავაკრავთ, რადგან ეს დღეს მოხდა, შეხედე, გუშინდელი ფოტო თავის ადგილზეა, ხვალ კიდევ გადავიღებთ და ჩავაკრავთ აქ (მიანიშნეთ თითით)“. ყოველი ფოტოს თავზე დააწერეთ შესაბამისი კვირის დღე და სურათების დათვლიერებისას წაუკითხეთ, შეგიძლიათ მიმდინარე თვე და რიცხვიც დააწეროთ;




- ▶ მიეცით შესაძლებლობა, თვითონაც მიიღოს მონაწილეობა სურათის გამოჭრისა თუ დანებების პროცესში;
- ▶ ყოველი პროცესი გაახმოვანეთ. გააზრებასა და დამახსოვრებას ხელს უწყობს, როგორც თვალსაჩინო მასალა, ისე სიტყვიერი მინიშნებები.



გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ 3 წლის ბავშვები მსგავსი ერთკვირიანი აქტივობის შემდეგ კარგად იაზრებენ ცნებებს „გუშინ“, „დღეს“, „ხვალ“, ასხვავებენ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მომდევნო დღეებში ისევ დაუბრუნდით შედგენილ თვალსაჩინო დასურათებულ ცხრილს. თქვენ უკვე გაქვთ მასალა იმისათვის, რომ ამბებსაც მოჰყვეთ. მოყოლისას სამეტყველო ლექსიკაში გამოიყენეთ ფრაზები: „ეს ამბავი წინა დღეს მოხდა, ეს შემდეგ დღეს, ნახე, ჩვენ ჯერ ფანქრები ვიყიდეთ, მერე კი ამ ფანქრებით დავხატეთ, ეს ფოტო ორშაბათს გადავიღეთ, ეს კი – სამშაბათს, ორშაბათი სამშაბათის წინა დღეა, ხოლო ოთხშაბათი – მომდევნო“. ასეთი საუბრისას აუცილებლად მიანიშნეთ თითოთ შესაბამის ფოტოზე.

## რატომ უწყობს ეს აქტივობა ხელს დროის ცნების გააზრებასა და დროში მიმდინარე მოვლენების გაცნობიერებას?

- ▶ ბავშვების აზროვნება თვალსაჩინო ხასიათისაა, ისინი უკეთ იმახსოვრებენ და ითვისებენ ლოგიკურ ცნებებს, თუ ამ ცნებების შესაბამის თვალსაჩინო მასალას ვიზუალურადაც დაინახავენ;
- ▶ ბავშვები უკეთ იაზრებენ იმ მოვლენებს, რომლებიც ავტობიოგრაფიულია და ამ სიტუაციის მონაწილენი თავად იყვნენ. საკუთარ თავთან მიმართებაში დანახული მოვლენები უფრო ამახსოვრდებათ, ამიტომ არის მნიშვნელოვანი სწორედ ცხოვრებისეული ფაქტების ასახვა;
- ▶ აქტივობა გულისხმობს მშობლის ჩართულობას, რაც ბავშვსა და მშობელს შორის მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობის განვითარებას გულისხმობს;
- ▶ პროცესი თამაშს ჰგავს, თამაში ბავშვის ბუნებრივი ქცევაა, შესაბამისად, თამაშით ნასწავლი ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს და ზრდის მოტივაციას, სწავლა სპონტანურად ხდება.



## საგზოვრებელი ქუჩის რუკა

სივრცეში ორიენტირების უნარი ასაკის მატებასთან ერთად ვითარდება. ცნობილია, რომ ზოგიერთი ადამიანისთვის ეს ძლიერი მხარეა, ზოგისთვის კი – სუსტი. სკოლამდელ ასაკში მნიშვნელოვანია, ბავშვი არჩევდეს მარჯვენა-მარცხენას, სწორად იყენებდეს ცნებებს: „წინ“, „უკან“, „გვერდით“, „ზემოთ“, „ქვემოთ“. სტრატეგია **გამოცდილებით სწავლა** ერთ-ერთი ეფექტური მიდგომაა სივრცითი უნარების განვითარებისთვის. ასევე, ამ უნარების განვითარებისთვის ვიზუალური მასალის გამოყენება, ერთი მხრივ, ამაღლებს მოტივაციასა და ინტერესს, მეორე მხრივ კი, ვიზუალიზაცია ბავშვს ეხმარება აბსტრაქტული ცნებების გააზრებაში.




არ აქვს მნიშვნელობა, სოფელში ცხოვრობთ თუ ქალაქში, რადგან ეს აქტივობა მოიაზრებს ნებისმიერი ადგილის გეგმის შექმნას – რუკას, რომელსაც ბავშვთან ერთად დახატავთ და ამით მას სივრცითი წარმოდგენების უნარების განვითარებაში დაეხმარებით.

**ბასაუბრება** – ბავშვს წინასწარ მოტივაციის აღძვრის მიზნით მიაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თამაში ძალიან საინტერესო იქნება. მოსამზადებელ ეტაპზე დაუსვით ისეთი კითხვები, რომელზე პასუხებიც, თქვენი აზრით, მას ექნება. ეს მოტივაციას აღუძრავს. ზოგადად ითვლება, რომ **ახალი საკითხის შესწავლამდე ბავშვებს უმჯობესია დაუფსვთ არა რთული და ჩამჭრელი კითხვები, არამედ სწორედ ისეთი სირთულის, რაც მას გააცნობიერებინებს, რომ ამ საკითხის შესახებ გარკვეული ცოდნა უკვე ჰქონია და საკუთარ ძალების რწმენას შემატებს – ამას არსებული ცოდნის აქტუალიზაციას უწოდებენ.** ეს კითხვები, შესაძლოა, ასე ჟღერდეს: „სად ვყიდულობთ პურს? მაღაზიაში. სად არის მაღაზია? კიდევ რომელი მაღაზია გახსოვს ჩვენს სახლთან? რამდენი ხეა ჩვენს ქუჩაზე? ბევრი? ნაძვის ხე სახლის წინ დგას თუ უკან? ბურთის სათამაშო მოედანი საით არის?“ და ა. შ.

**ბასეირნება** – ბავშვთან ერთად გაიარეთ ქუჩის ერთი მონაკვეთი, გასეირნების დროს მასთან ერთად ისაუბრეთ იმ ადგილებსა და ნივთებზე, რომლებიც გზადაგზა გხვდებათ, შეეცადეთ, წინადადებებში გამოიყენოთ ადგილების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგალითად: „მარკეტის შემდეგ აფთიაქია“, „აფთიაქის წინ ნაძვის ხე“, „აფთიაქის შემდეგ საცხოვრებელი კორპუსია“ და სხვ.

**ხატვა** – დაბრუნდით სახლში და ბავშვთან ერთად დაიწყეთ იმ ქუჩის რუკის ხატვა, სადაც სეირნობდით. წასახალისებლად ათ-





ვლის ნერთილი, შეგიძლიათ, თქვენ დახატოთ, შეგიძლიათ, ჰკითხოთ ბავშვს, ყველაზე მეტად რა დაამახსოვრდა და პირველად ის შენობა ან ადგილი დახატოთ, რომელსაც დაასახელებს, ხოლო შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ – დანარჩენები. ხატვის დროს თუ ამჩნევთ, რომ ბავშვს გარკვეული ადგილები არასწორად ახსოვს, არ გააკრიტიკოთ: ამ ეტაპზე მიეცით თავისუფლება, დაუშვას შეცდომები.

**ნახატის გადამოწმება** – ბავშვთან ერთად აიღეთ ნახატი და ისევ გაისეირნეთ იმ ქუჩაზე. ბავშვს აუხსენით, რომ ახლა უნდა შეამოწმოთ, რამდენად სწორია და შეესაბამება ნახატზე არსებული განლაგებები რეალობას. ცხადია, ამას მისთვის გასაგები ლექსიკით, მარტივად უხსნით („აბა, ვნახოთ, რაც დავხატეთ, ქუჩაზეც ისეა თუ არა?“). ნაახალისეთ ბავ-



შვი შიკითხვებით, თვითონ აღმოაჩინოს, რა ახსოვდა სწორად, ძირითადი აქცენტები გააკეთეთ სწორად ჩახატულ შენობებსა და ადგილებზე, ხოლო რაც არ დაემთხვევა, იმაზე შენიშვნას ნუ მისცემთ. აქ მნიშვნელოვანია სწავლა, სწავლის დროს კი მაშინ იზრდება მოტივაცია, როდესაც ბავშვი საკუთარ წარმატებებს ხედავს.

**ისევ ხატვა** – გაიმეორეთ ხატვის აქტივობა მომდევნო ეტაპზეც. რადგან ბავშვი გადამონმების ეტაპზე უფრო ყურადღებით იყო, შესაბამისად, შემდგომ ნახატში უფრო მეტ განლაგებას ჩახატავს სწორად.

**რესურსები:**


ხატვის გარდა, შეგიძლიათ, გამოიყენოთ ძერწვა ან კოლაჟის შექმნა. ეს დამოკიდებულია ბავშვის ინტერესებზე.

**შემოქმედებითობა:**

შემდგომ ეტაპზე, შეგიძლიათ, ბავშვს გაუჩინოთ სურვილი, გახედეს „პატარა არქიტექტორი“, საკუთარი შეხედულებებით დამატოს ან შეცვალოს ქუჩის განლაგება ნახატზე, მაგალითად, შეიძლება, ბავშვმა გამოხატოს ინიციატივა, რომ აქვს სურვილი, იყოს სათამაშოების მაღაზია იმ ქუჩაზე, სადაც ცხოვრობს, ან თეატრის შენობა, ან სახანძრო – ეს მას შემოქმედებით უნარებსა და ფანტაზიას განუვითარებს.

შესაძლოა, ბავშვმა ქუჩაზე რამე შენობის, მცენარის, პარკის, სათამაშო მოედნის დამატების გარდა, შეცვლა ან მოკლება გადამწყვიტოს, მიეცით წარმოსახვის გავარჯიშების საშუალება.





### **ეს აქტივობა ხელს უწყობს:**


- ▶ ვიზუალური სივრცითი წარმოდგენების განვითარებას;
- ▶ სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარებას;
- ▶ მეხსიერების, ყურადღების გავარჯიშებას;
- ▶ დაკვირვების უნარის განვითარებას;
- ▶ ბავშვსა და მშობელს შორის პოზიტიური და შემოქმედებითი ურთიერთობის ნახალისებას.

# წინააჯადემიური და აჯადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობა

## რას ვაჩეთებ იმიხათვის, რომ შეიღს ყითხვა შევაცვარო

ბავშვების წიგნების კითხვით დაინტერესება ბევრი მშობლისთვის რთულია. გთავაზობთ სხვადასხვა სარეკომენდაციო აქტივობას, რომელთა ჩატარება შეგიძლიათ, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში.

წიგნებით ბავშვი ადრეული ასაკიდანვე უნდა დავაინტერესოთ. შეიძლება ითქვას, რომ დაბადებიდან სათამაშოებთან ერთად მისი მხედველობის არეში მცირე ზომის წიგნებიც უნდა ხვდებოდეს, ხოლო როცა ჯდომას ისწავლის, წიგნებით თამაში მისი მთლიანი თამაშის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ მომავალშიც ეყვარება წიგნები. თუმცა მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ წიგნის ზომა, ფორმა და ფურცლის ხარისხი! 1 წლამდე ბავშვისთვის არსებობს სპეციალური წიგნები, რომლებიც დამზადებულია რბილი მასალისგან, აქვს სქელი ფურცლები და ყდა, უსაფრთხოა და ადვილად არ იხევა. ზოგადად, 5-6 წლამდე ასაკის ბავშვს დასურათებული და ფერადი წიგნები უნდა ჰქონდეს. წიგნების დათვალიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია სიტყვიერი ახსნაც. ზოგადად, როგორც თამაში, ისე წიგნების თვალიერება ძალიან უწყობს ხელს მოსმენის უნარის ჩამოყალიბებასა და მეტყველების განვითარებას.





მშობლები ზოგჯერ გამოთქვამენ წუხილს იმის გამო, რომ ბავშვები არ ინტერესდებიან წიგნებით. უნდა ვეცადოთ ბავშვისთვის საინტერესო წიგნის შერჩევას, წავახალისოთ ეს პროცესი. გაუმართლებელია წიგნის კითხვის, როგორც სადამსჯელო ღონისძიების, გამოყენება, ამით კითხვა უარყოფით ელფერს შეიძენს.

### **კითხვის დაწყებამდე დაიწყეთ წიგნებით თამაში:**

- ▶ გასათვალისწინებელია, რომ, თუ ბავშვს წიგნებთან შეხება ადრეული ასაკიდანვე არ აქვს, მოზრდილ ასაკში შესაძლოა დამოუკიდებლადაც ნაკლებად დაინტერესდეს; ბავშვთან ერთად შეარჩიეთ ლამაზი თარო, სადაც თავის წიგნებს დაალაგებს;
- ▶ წიგნების სიყვარული თავდაპირველ ეტაპზე იწყება წიგნებთან შეხებით, როგორიცაა დათვალიერება, საყვარელი სურათების გამორჩევა, საინტერესო ნახატებისა და ნახატი პერსონაჟების აღმოჩენა;
- ▶ ზოგჯერ ბავშვთან ერთად გადმოიღეთ წიგნები, მასთან ერთად დაჯექით იატაკზე და წიგნები, როგორც სათამაშო და განმავითარებელი ნივთები, შემდეგნაირად გამოიყენეთ: დაახარის-

ხეთ ისინი, დაალაგეთ ფერების, ზომისა და სიდიდის მიხედვით, დაითვალეთ წიგნები, შეადარეთ ზომისა და წონის მიხედვით – ამ აქტივობით მათემატიკური და ლოგიკური წარმოდგენებიც განვითარდება. გამოარჩიეთ „ყველაზე კარგი“ წიგნი;


- ▶ ითამაშეთ წიგნის გაყიდვის იმიტაცია, შეიძლება, გამოიყენოთ სათამაშო ფული ან ჟეტონები.

„ჩემი შვილი 4 წლისაა, ამიტომ ვცდილობ, ყველაფერი თამაშად ვაქციო, მათ შორის წიგნის კითხვაც, რადგან თამაშით სწავლა ამ ასაკის ბავშვებისთვის ნამყვანი ქცევაა.

მაინც რას ვაკეთებთ მე და ნიტა, რომ კითხვის სიყვარული არ დაგკარგოთ? პირველ რიგში იმას, რომ იმთავითვე წიგნებით არ ვინყებ:

1. ხშირად ვცდილობ, ვესაუბრო სხვადასხვა თემაზე, რომ მისი ინტერესები გამოიკვეთოს. 4 წლის ბავშვს მკაფიო ინტერესები ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული, მანაც უნდა გააცნობიეროს საკუთარი ინტერესები, გაეცნოს სამყაროს, შეისწავლოს, შეაფასოს და შემდეგ არჩევანი გააკეთოს იმაზე, რა აინტერესებს. ამისთვის, როცა დრო გვაქვს, ძალიან ბევრს ვსეირნობთ, მიმყავს და ვუყვები, ეს რა ქუჩაა, რა შენობაა, აქ ადრე რა ხდებოდა და ახლა რა ხდება. როცა მისთვის საინტერესო საკითხს დავინახავ, ჩავეჭიდები და ფანტაზიებში ვამოგზაურებ, შემდეგ ამ ფანტაზიის შესახებ ხან ვუხატავ, ხან შესაბამის სურათებს მოვუძებნი ინტერნეტში, ან მულტფილმს ვნახავთ, აი მერე მივდივართ წიგნების მაღაზიებში;
2. თუკი ვიცი ინტერესი, მაღაზიაში წიგნის არჩევა საინტერესო პროცესია. არასოდეს ვაკრიტიკებ არჩევანის გამო, არასოდეს ვეტყვი – ეს რატომ აირჩიე, ცუდია-მეთქი. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი შვილია, არ მინდა, ინტერესები ერთნაირი გვექონდეს, მირჩევნია, განსხვავებული ინტერესების აღიარება-დაფასება ვისწავლოთ.




- 
3. 4 წლის ბავშვისთვის წიგნი, მნიშვნელოვანია, იყოს ძალიან ფერადი, შედარებით დიდი სურათებითა და დიდი შრიფტით, ამიტომ წიგნების ასარჩევად ისეთ თაროსთან მივალთ, სადაც საბავშვო ლიტერატურა აწყვიცა;
  4. ვთანხმდებით, რომ წიგნის თვალიერება და კითხვა ყველგან შეიძლება: სახლში, პარკში, იატაკზე, საწოლში...
  5. შეიძლება არტისტული უნარები დიდად არ მაქვს გამოხატული, მაგრამ მაინც ვცდილობ, დიალოგები სხვადასხვა ტემპრით წავუკითხო, ასევე ვცვალო ინტონაციები სხვადასხვა სიუჟეტის წაკითხვისას. ეს ბავშვებში სასიამოვნო ემოციებს იწვევს;
  6. ერთხელ წაკითხულ მოთხრობას მეორეჯერაც მივუბრუნდებით და მესამეჯერაც, თუმცა მოსაწყენი რომ არ იყოს, კიდევ უფრო მეტი მრავალფეროვნება გვჭირდება, ამიტომ ზღაპრის გმირებს დავხატავთ, გამოვჭირთ, გავაფერადებთ, ასე რომ უკვე სპექტაკლის პერსონაჟებიც გვყავს;
  7. აბსტრაქტული აზროვნებისა და განზოგადების უნარის განვითარებისთვის, ვფიქრობ, კარგი იქნება, ესა თუ ის გმირი სხვადასხვა წიგნსა და მულტფილმში, ასევე გასაფერადებელ ალბომებში ამოვიცნოთ. მაგალითად, წავიკითხეთ „მაუგლი“, შემდეგ გასაფერადებელ ალბომში მაუგლი გავაფერადეთ, შემდეგ ინტერნეტში მოვძებნეთ ტორტები მაუგლის გამოსახულებით, ამით პრაქტიკული უნარებიც ვითარდება და ცოტა პრაგმატიზმიც, ბავშვი უკვე ფიქრობს, რომ „მაუგლის“ წიგნის წაკითხვა სასარგებლო იყო. შეიძლება, ამ ზღაპრის სხვა პერსონაჟებით ლოტოც ვითამაშოთ. ლოტო შეგვიძლია ჩვენ თვითონ დავამზადოთ;
  8. წიგნის კითხვის დასრულების შემდეგ ნაყინის ან შოკოლადის საჭმელად, ან მეგობართან ერთად სათამაშოდ მივდივართ,

რადგან როცა ერთ აქტივობას მეორე მოსდევს, სწორედ ეს მეორე აქტივობა იწვევს წინა აქტივობის განმტკიცებას.



ჩემი მიზანი მხოლოდ წიგნის კითხვა არ არის, წიგნები საშუალებაა, რომ ბავშვმა სამყარო შეიცნოს, მინდა, რომ წიგნების დახმარებით მიღებულმა ინფორმაციამ ყოველდღიურობა გაუმრავალფეროვნოს. ხოლო ამ ყველაფერს მატარებლის ვაგონებივით მოჰყვება ისეთი უნარების განვითარება, როგორებიცაა: ლექსიკის გამდიდრება, მოსმენა, დამახსოვრება, გააზრება, გაანალიზება და სხვ.“.

დასახელებული აქტივობების განხორციელება წარმატებით შეიძლება, როგორც სკოლამდელ ასაკში (3-იდან 6 წლამდე), ისე უმცროს სასკოლო ასაკში. მსგავსი აქტივობები წარმატებით გამოიყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან, თუკი ვლინდება აზროვნების კონკრეტულობა, ყურადღების კონცენტრაციისა და მეხსიერების სირთულეები.



## ყითხვის უნარები სკოლამდელ ასაკში

უნდა ვასწავლოთ თუ არა სკოლამდელი ასაკის ბავშვს წერა-კითხვა? ამ კითხვის პასუხი შემდეგია: წერა-კითხვის სრულფასოვანი სწავლება არ არის სავალდებულო 6 წლამდე ასაკში, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვი გაეცნოს ასო-ბგერებს, შეისწავლოს მათი ფორმები, გააცნობიეროს, რომ მოხაზულობის მიხედვით ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან.

წინასასკოლო პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია წინასაანბანო უნარების განვითარებისთვის. აქ იგულისხმება ის, რომ არ არის აუცილებელი, ბავშვმა სკოლამდე ისწავლოს წერა-კითხვა, მაგრამ მნიშვნელოვანია, განივითაროს ის უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლაში წერა-კითხვის იოლად ათვისებაში.

3 წლის ბავშვი უკვე უნდა ცნობდეს, წიგნში ფურცელზე ნახატია წარმოდგენილი თუ ნაწერი, 4 წლის ბავშვი ასოებს ციფრებისგან უნდა არჩევდეს, მაგალითად, თუ 4-5 წლის ბავშვის წინაშე გროვად განვალაგებთ მოძრავი ანბანის ასოებსა და ციფრებს, მან უნდა შეძლოს დაახარისხოს ისინი ორ ჯგუფად – ცალკე ციფრები და ცალკე ასოები. იმის მიხედვით, რამდენად წარმატებულია ბავშვი წინასაანბანო პერიოდში, შეგვიძლია, ვინანასწარმეტყველოთ, რამდენად წარმატებული იქნება უმცროს სასკოლო ასაკში. ადრეული განვითარების პერიოდში შეძენილი ბაზისური ცოდნა, უნარები და განწყობა სამომავლო წარმატებას უწყობს ხელს.

მშობლებისთვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციაა, რომ განსაკუთრებით 6 წლის ასაკამდე ბავშვის წამყვანი ქცევა თამაშია,

ამიტომ მნიშვნელოვანია, სასწავლო აქტივობები თამაშის ფორმით წარიმართოს.

## 1. **გალიშების პრინციპით შუამდგომლობის ასო-გაგრაფიკა**

იმისთვის, რომ ასოები თანაბარი ზომის გამოვიდეს, ამობეჭდეთ დაახლოებით ნახევარი თაბახის ფურცლის ტოლი ასოები, ამობეჭდილი და გამოჭრილი ასოები გამოიყენეთ, როგორც თარგი, რომ გამოჭრათ ასოები სხვადასხვა ფერის ქსოვილებისგან და ამოავსოთ ბამბით. ამგვარად შეკერილი ასოები დიდი ხნის მანძილზე ეყოფა თქვენს შვილს იმისათვის, რომ ითამაშოს და თან აქტიურად შეიმეცნოს ისინი; ასო-ბგერები რომ სენსორულადაც საინტერესო იყოს, შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც პრიალა, ისე ხავერდის, აბრეშუმის, ბამბისა და სხვადასხვა ხარისხის ქსოვილები. შიგთავსად ხელოვნური ბამბა გამოგადგებათ, რომელიც არაალერგიულია და ადვილად ირეცხება. ამგვარი ასოებით ბავშვი თანდათან ისწავლის სიტყვების აწყობას, ერთნაირი ასოების დაჯგუფებას, რამდენადაც ხელით შეეხება მათ, აღარ გაუჭირდება სარკისებრი ასოების, მაგალითად, „შ“-სა და „წ“-ს გარჩევა და სხვ. ამგვარი სათამაშო ასოები მისი სხვა სათამაშოების შემადგენელი ნაწილი იქნება. თუ მას აქვს სათამაშო ძალი და კატა, რომლებითაც ცხოველებს ეცნობა, პარალელურად ასოების გაცნობის ეტაპსაც გადალახავს.

## 2. **მინიშნება განსხვავებაზე ნახატსა და ნაწერს შორის**

თუკი 2-3 წლის ბავშვს რამეს, მაგალითად ბურთს, უხატავთ, ამავდროულად უთხარით: „ნახე, მე ბურთი დავხატე, ახლა დავწეროთ „ბურთი“. რა თქმა უნდა, 2 წლის ბავშვისთვის ასოების ცნობის ეტაპი ჯერ მიუწვდომელია, მაგრამ ამგვარი აქტივობებით ჩვენ გავუმახვილებთ ყურადღებას წერაზე და შევუქმნით მოსამზადებელ პერიოდს სკოლამდელი და სასკოლო ასაკისთვის.



### 3. საკუთარი სახელის წერა

პირველი სიტყვა, რომელსაც ბავშვი დანერს ან წაიკითხავს, უმჯობესია მისი სახელი იყოს, ამით პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება წიგნიერების მიმართ, რადგან ცნობილია, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის აზროვნება ეგოცენტრულია, ანუ საკუთარ თავზე ორიენტირებული. მის პირად ნივთებს დააკარით ფერადი ნებოვანი ქალაღდისგან გამოჭრილი სახელი. ეს, შესაძლოა, გაკეთდეს მის საწოლზე, მაგიდაზე, ჭიქაზე და ა. შ.

### 4. სასვენი ნიშნების მოქაზნა ტაქსტში

მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ბავშვმა კარგად იცის ასოების გარჩევა სხვა ისეთი სიმბოლოებისგან, როგორებიცაა სურათები, ციფრები, გეომეტრიული ფიგურები, ნახაზები და სხვ., შეგიძლიათ სცადოთ სასვენი ნიშნებზე ინფორმაციის მიწოდება. მიეცით ბავშვს მსხვილი შრიფტით დანერილი წიგნი, აჩვენეთ და აუხსენით, რომ ნაწერში, გარდა სიტყვებისა, კიდევ სხვადასხვა სიმბოლოები – სასვენი ნიშნები წერია. სთხოვეთ, მიაღვენოს თვალი სტრიქონებს და თითოთ გაჩვენოთ ეს სასვენი ნიშნები. აღნიშული აქტივობაც სრულფასოვანი კითხვისთვის მოსამზადებელი პერიოდის შემადგენელი ნაწილია.




## წერის უნარები სკოლამდელ ასაკში

აუცილებელია, სკოლაში შესვლამდე ბავშვს განვითარებული ჰქონდეს წერის წინმსწრები უნარები. წერართული პროცესია, რომელიც უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების, ნატიფი მოტორული უნარებისა და ვიზუალურ-სივრცითი უნარების ადეკვატურ ფუნქციონირებას ემყარება. სკოლამდელ ასაკში მნიშვნელოვანია, მშობელმა იზრუნოს ბავშვის ისეთი უნარების განვითარებაზე, რომლებიც შემდგომ წერის ათვისებაში დაეხმარება.

როდესაც ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი ცდილობს, ხელი წაილოს და საბავშვო საწოლზე ჩამოკიდებულ ჟღარუნა სათამაშოს მოჰკიდოს, შემდეგ, როცა დაჯდომას ისწავლის, ცდილობს, ააწყოს პირამიდა, შემდეგ ფანქრით ჯღაბნას ინყებს, შემდეგ კი – გაფერადებას, ეს უკვე იმის პირველადი ჩანასახებია, რომ მას უვითარდება ვიზუალურ-სივრცითი უნარები, თვალისა და ხელის კოორდინირებული მოძრაობები და ნატიფი მოტორული უნარები. მართალია, წერის სწავლამდე ჯერ ადრეა, მაგრამ თითოეულ ასაკობრივ ეტაპზე განვითარებული ეს უნარები ხდება საფუძველი 6 წლის ბავშვისთვის, რომ მან ასოები შესაბამის ბადეში მოხაზოს.

წერის უნარები მანამდე ვითარდება, სანამ ბავშვი რეალურად ისწავლის წერას, თუმცა ყველაფერი წერითი აქტივობით არ ინყება. დაბადებიდან 6 წლამდე ასაკობრივ პერიოდში წერისადმი მზაობის განვითარების ხელშეწყობა შემდეგი თანამიმდევრობითი აქტივობებით შეიძლება:



## ხატვა სხვადასხვა სახის მასალით

ხატვა არის პროცესი, რომელიც ბავშვს ბევრი უნარის განვითარებაში ეხმარება, ესენია: წინააკადემიური უნარები, ნატიფი მოტორული უნარები, წარმოსახვა, ზოგადად სამყაროს აღქმა და შემეცნება. მიეცით ბავშვს საშუალება, ხატვის პროცესი მრავალფეროვანი გახადოს და ამისთვის სხვადასხვა მასალა გამოიყენეთ. ტრადიციული რესურსები ხატვისთვის არის ფანქრები, ფლომასტერები, ფურცლები, საღებავები.

იმისთვის, რომ ხატვის პროცესი უფრო საინტერესო და მულტისენსორული იყოს (მრავალი შეგრძნება იყოს ჩართული, მათ შორის სხვადასხვა ტაქტილური სახის მასალები), შეიძლება განსხვავებული მასალის გამოყენებაც:

1. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ქვიშაზე თითით ხატვა;
2. ასევე ფერადი წყლის გუაშებით ხელით ხატვა;
3. შეიძლება სხვადასხვა მასალის შერეული გამოყენებაც, მაგალითად, ფანქრით კონტურების ხატვა და ფერადი წყლის გუაშებით ხან ფუნჯით, ხან თითით გაფერადება;
4. ხატვისთვის მრავალფეროვანი რესურსების მოძებნა სამზარეულოშიც შეიძლება, მაგალითად, თბილ წყალში შევუროთ ცოტაოდენი მჭადის ფქვილი ან მანანის ბურღული, მიღებული მასა გადავანაწილოთ 3-4 თასში და სხვადასხვა ფერი შევუროთ. მივიღებთ ფერად მასას, რომელიც ტაქტილურ შეგრძნებებსაც (ინფორმაციის შეხების გზით მიღებას) ავითარებს. მიეცით ბავშვს უფლება, ხელით ხატოს ამ მასით დიდი ფორმატის ქაღალდზე;
5. ასევე ეფექტურია სხვადასხვა ბურღულეული მასის გამოყენება ხატვისას და კოლაჟების შექმნისას. ბავშვთან ერთად დახატეთ სხვადასხვა კონტურები (ყვავილი, მზე, ადამიანი, სახლი, ცხოველები), შემდეგ კი კონტურების შიგნით

ნებო ნაუსვით და ზედ სხვადასხვა ბურღულეული დაანებეთ (ოსპი, წინიბურა, ბრინჯი), შეგიძლიათ, მაგალითად, ბავშვს ურჩიოთ, რომ ყვავილის შუაგულში ოსპი დაანებოს, გარშემო კი ბრინჯს მარცვლები. ეს პროცესი ნატიფი მოტორული უნარების განვითარების საუკეთესო საშუალებაა;

**6.** ხატვის პროცესი დააკავშირეთ ასოებისა და ციფრების წერისა და ცნობის უნართან. ამ მიზნით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა გამოგადგებათ, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბავშვი ამ დროს „ხატავს“ ციფრებს, თავის სახელს. ამით ვითარდება როგორც ნატიფი მოტორული უნარები, ვიზუალურ-სივრცითი წარმოდგენები, ისე აკადემიური უნარები.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი თავიდანვე აცნობიერებდეს წერის უნარის პრაქტიკულ და პრაგმატულ გამოყენებას, ანუ მის სარგებლიანობასა და მნიშვნელობას. იმისთვის, რომ ბავშვს წერის მიმართ დადებითი განწყობა ჩამოუყალიბდეს, დააკავშირეთ ის სასარგებლო და სასიამოვნო მოვლენებთან:

სთხოვეთ ბავშვს, გიკარნახოთ, თქვენ კი ჩაინერეთ, რის გაკეთება გინდათ მასთან ერთად სალამოს, როცა სამსახურიდან დაბრუნდებით, ან რომელ მულტფილმს უყურებდა სიამოვნებით თქვენთან ერთად. მისი ნაკარნახევი დაწერეთ ფურცელზე და მიაკარით მაცივარზე ან კედელზე. 4-5 წლის ბავშვს შეიძლება არ ჰქონდეს უნარი, ზუსტად ამოიკითხოს ნაწერი, მაგრამ მან „იცის“, რაც იქ წერია. სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ბავშვთან ერთად მიდით ჩანაწერთან და ხმამაღლა წაიკითხეთ. აუცილებლად შეასრულეთ პირობა, რაც იქ წერია. ბავშვი ამით წერის მნიშვნელობას თავისთვის სასიამოვნო პროცესს დაუკავშირებს გონებაში და „მიხვდება“, რომ წერა სარგებლის მომტანია.



## მათემატიკური ამოცანები სახლში

ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვანია რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარების ხელშეწყობა. ადრეულ ასაკში მიღებული გამოცდილება მთელი ცხოვრების განმავლობაში ახდენს გავლენას სწავლის პროცესსა და მიღწევებზე. ადრეულ ასაკში მათემატიკური წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად სამეცადინო პირობების შექმნა თამაშის პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს, ხოლო მეორე მხრივ ნებისმიერი სახლისა და ქუჩის გარემო სავსეა ნივთებით, რის დათვლა, გაზომვა და შედარებაც შეიძლება.

- ▶ კიბეზე ასვლა-ჩასვლის დროს კიბის საფეხურების დათვლა – ამის გაკეთება შესაძლებელია ყოველდღიურად;
- ▶ სახლში ნივთების დათვლა. წაახალისეთ ბავშვი, დათვალოს, რამდენი სკამია ოთახში, რამდენი თევზი დევს სუფრაზე, ოჯახის რამდენმა წევრმა უნდა დალიოს დღეს ჩაი ვახშამზე და, შესაბამისად, რამდენი ჭიქა დაგვჭირდება. სახლში ბუნებრივ პირობებში განხორციელებული ამგვარი აქტივობებით მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი ბავშვს, რათა შემდგომ სკოლაში კარგად ამოხსნას მათემატიკური ამოცანები;
- ▶ შესთავაზეთ ბავშვს, გამოიცნოს, რა გვაქვს სახლში ერთი ცალი. მაგალითად, მაცივარი ერთია, სარეცხის მანქანა ერთია, კიდევ რა გვაქვს ისეთი, რაც მხოლოდ ერთი ცალია? იგივე შეიძლება გაკეთდეს რაოდენობა ორზე და ა. შ.



- ▶ თუ დღეს წვნიანის გაკეთება გადაწყვიტეთ, მიეცით საშუალება, დაჯდეს სამზარეულოში და პროცესს უყუროს. მასთან ერთად დაითვალეთ ინგრედიენტები: 1 ხახვი, 2 სტაფილო, 3 კარტოფილი... მიეცით საშუალება, თქვენთან ერთად გადაზომოს 1 ჭიქა ბრინჯი, გაართულეთ შეკითხვა – სულ რამდენი ჭიქა ბრინჯი იქნება ქილაში? შეიძლება, ამ კითხვაზე პასუხი ბავშვს გაუჭირდეს, მაგრამ გაცნობიერებს ბევრისა და ცოტას შედარებას, გაყოფას. შეგიძლიათ, ეს აქტივობა პრაქტიკაშიც მოსინჯოთ, ბავშვისთვის სახალისო იქნება, თანაც თვალნათლივ აღიქვამს და შეიმეცნებს, რომ, მაგალითად, ერთი ქილა ბრინჯი 5 ჭიქა ბრინჯს აერთიანებს – მიეცით შესაძლებლობა ეს პრაქტიკულად განახორციელოს.
- ▶ წაახალისეთ ბავშვი, შეადაროს ნივთები სიდიდის მიხედვით. ეს შეიძლება იყოს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჭურჭელი, ავეჯი. თუ საყიდლებზე სხვადასხვა მაღაზიებში დადიხართ, ჰკითხეთ ხოლმე, რომელი მაღაზიაა უფრო დიდი, უფრო პატარა?



- ▶ გაზომეთ ოთახი ნაბიჯებით. ბავშვი გააცნობიერებს, რომ დიდი ნაბიჯებითა და პატარა ნაბიჯებით გაზომილი მანძილი სხვადასხვა რიცხვს გვაძლევს;
- ▶ დაჭერით ვაშლი სხვადასხვა ზომის ნაჭრებად და დაანყობინეთ სიდიდის მიხედვით;
- ▶ ჩაასხით წყალი სხვადასხვა დონეზე ჭიქებში და დაანყობინეთ რაოდენობის მიხედვით;
- ▶ დათვალეთ ლილები, ფეხსაცმელზე ზონრის გასაყრელები;
- ▶ თუ თამაში შეჯიბრს გულისხმობს, აღნიშნეთ ცხრილში მოგებები სტიკერის მიკვრით ან პლუსის დასმით, ამით რაოდენობრივი წარმოდგენები უფრო თვალსაჩინო გახდება ბავშვისთვის. მათთან ერთად დაამზადეთ სერტიფიკატი „მათემატიკა ჩემ შესახებ“.

**მათემატიკა ჩემ შესახებ**

მე ვარ \_\_\_\_\_ წლის

ჩემს სახელში არის \_\_\_\_\_ ასო

ჩემს გვარში არის \_\_\_\_\_ ასო

**ფოტო**

ჩემს სახლში ცხოვრობს \_\_\_\_\_ ადამიანი

მე მყავს \_\_\_\_\_ შინაური ცხოველი

**ჩემი საყვარელი ციფრია \_\_\_\_\_**

**ჩემი სიმაღლეა \_\_\_\_\_**

**ჩემი წონაა \_\_\_\_\_**

**ჩემი ფეხის ზომაა \_\_\_\_\_**

მე ვიღვიძებ \_\_\_\_\_ საათზე

მე ვიძინებ \_\_\_\_\_ საათზე


## ბავშვი არდადეგებზე – დასვენების უფლების რეალიზება

ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია, ბავშვს ხელი შეეწყოს არა მხოლოდ განათლებაში, არამედ სწორ დასვენებაშიც. დასვენების დაგეგმვისა და ორგანიზების უნარების სწავლა და განვითარება ბავშვისთვის ისეთივე საჭირო უნარია, როგორც წერა-კითხვის, თვითმომსახურების, საკუთარი ნივთების მოწესრიგების, კომუნიკაციის, მეტყველებისა და სხვ. მნიშვნელოვანია, მშობელმა ხელი შეუწყოს ბავშვის სწორად დასვენების უფლების რეალიზებას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) განმარტებით, ჯანმრთელობა სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობაა და არა მხოლოდ რაიმე დაავადების არქონა. შესაბამისად, დასვენების კომპონენტი შეიძლება, განიხილებოდეს, როგორც განვითარების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი მიმართულება.

მშობლები ხშირად დასვენებას „დროის უქმად ფლანგვას“ უკავშირებენ. ამ სტერეოტიპული შეხედულების გაქარწყლება შესაძლებელია, თუ დასვენების აქტივობებს პრაგმატულად გავიაზრებთ და ვიფიქრებთ იმაზე, რომ სწორად ორგანიზებული დასვენების დროს ბავშვმა შეიძლება ძალიან ბევრი უნარი განვითაროს, მიიღოს ახალი შთაბეჭდილებები, აღიდგინოს ძალები, განიტვირთოს და ა. შ. მაგალითად, ადამიანის ფსიქიკური განვითარების თანამედროვე ტესტები, რომლებიც ბავშვის განვითარების უნარებს აფასებს, მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა მეტყველება, წერა-კითხვა, ყოფითი უნარები, კომუნიკაცია და იმ შესაძლებლობის შეფასებასაც, როგორ თამაშობს და იყენებს თავისუფალ დროს ინდივი-





დი. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ დასვენების პროცესში და არაფორმალურ გარემოში ბევრი რამის სწავლა შეიძლება, თანაც განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. კარგი დასვენება ბავშვისთვის სწორედ სასიამოვნოსა და სასარგებლოს შერწყმაა.


განათლების სისტემის წარმომადგენლები ხშირად დავობენ იმ საკითხზე, უნდა მივცეთ თუ არა ბავშვებს დავალებები არდადეგებზე. არგუმენტები ორივე მოსაზრებას მოეძებნება. ზოგიერთი, განსაკუთრებით ზაფხულის არდადეგებზე, 3 თვის მანძილზე დროის უქმად გატარებისა და ნასწავლი ცოდნის დავიწყების რისკს ხედავს, თუმცა, მეორე მხრივ, რთული რეჟიმისაგან გათავისუფლება ც მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი არ „გადაინვას“. არდადეგები საუკეთესო პერიოდია მოგზაურობისთვის, ახალი გარემოს ნახვისთვის და, შესაბამისად, ახალი გამოცდილების მიღებისთვის. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მხოლოდ შორეული მოგზაურობა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ტბაზე ნავით გასეირნება და ნიჩბების მართვის გამოცდილების მიღებაც ბავშვისთვის, რომელიც ქალაქშივე შეიძლება დაიგემოს. ამის შემდეგ ბავშვს შეიძლება ვთხოვოთ, დამოუკიდებლად მოძებნოს ინფორმაცია ამ ტბის შესახებ, მისი ისტორიის, გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ და ამით ცოდნაც გაიფართოვოს. ამ მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ სწორად ორგანიზებული დასვენების აქტივობები რეალურად გამოცდილებით სწავლას ეფუძნება.

არდადეგებზე მეცადინეობა უფრო თავისუფალი სტილის უნდა იყოს და ნაკლებად მოითხოვდეს ჩარჩოებს. მაგალითად, ალბომის შექმნა მცენარეების ან ცხოველების შესახებ ჩანახატებითა და ჩანაწერებით, ან თუნდაც მანქანებისა თუ ფილმების შესახებ გარკვეულნილად დაკავშირებულია წერით მეტყველებასთან, ინფორმაციის გააზრებასთან, სკოლაში ნასწავლი უნარების სხვა მიზნისთვის გენერალიზებასთან.

რა შეიძლება გააკეთოს ბავშვმა არდადეგებზე ისეთი, რაც დასვენების კომპონენტსაც მოიცავს და განათლებისაც?

- 1. ვიზიტი მუზაუმებში** – ბავშვი შეიმეცნებს ახალ ინფორმაციას, იღებს ახალ შთაბეჭდილებებს; მით უმეტეს, თუ დაიგეგმა ქალაქგარეთ გასვლა მშობლებთან ან მეგობრებთან ერთად, ხელი ეწყობა დადებითი ურთიერთობების განვითარებასა და შენარჩუნებას;
- 2. სეირნობა** – ახალი ადგილების მონახულებასთან ერთად ბავშვი ამ დროს ფიზიკურადაც იტვირთება, ატარებს დროს სუფთა ჰაერზე. გემოვნებისა და ინტერესების მიხედვით ფიზიკური დატვირთვა შეიძლება ცურვით, ველოსიპედით სეირნობით ან ცხენზე ჯირითითაც გამრავალფეროვნდეს. 2-3-საათიანი ფეხით გასეირნების შემდეგ კარგი იქნება იმაზე მსჯელობა, რა ნახა, რა მოეწონა, რას შეცვლიდა. თუ მშობელს ქალაქგარეთ გასვლის შესაძლებლობა არ აქვს, ნებისმიერ ქალაქში შეიძლება შიდა ტურის დაგეგმვა. ბავშვს შეგიძლიათ სთხოვოთ, თვითონ გაიგოს, ქალაქში რის ნახვა შეიძლება, ამისთვის შეიძლება ჰკითხოთ სხვებს, მოიძიოს ინფორმაცია ინტერნეტში, ნიგნებში საქართველოს ან თბილისის ღირსშესანიშნაობების შესახებ. სხვადასხვა ადგილების მონახულებით ბავშვი პრაქტიკულ უნარებს ივითარებს.
- 3. პიკნიკი** – პიკნიკის მოწყობას ბევრი დადებითი ეფექტი აქვს და ხელს უწყობს მშობლებსა და ბავშვს შორის დადებით კომუნიკაციას, ასევე ავითარებს ერთობლივად დაგეგმვის, ადგილის შერჩევის, პროდუქტების მომზადების, თანამონაწილეობისა და საჭირო ნივთების ჩალაგებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარს. პიკნიკის დროს, გარდა ლანჩისა და ექსკურსიისა, შესაძლებელია ნიგნების წაღება და ჰაერზე კითხვა, რაც ნიგნიერების განვითარების კომპონენტი იქნება და კითხვის პროცესი სასიამოვნო ელფერს შეიძენს;



- 
4. **შეფერხებული თამაზი და პრაქტიკული უნარი** – ბავშვებისთვის თამაში განმავითარებელი აქტივობაა. შეიძლება, ბავშვის თავისუფალი დრო საინტერესო და ახალი თამაშებით შევავსოთ, რომლის დროც მას სკოლის პერიოდში არ ჰქონდა, მაგალითად, ისწავლოს თოჯინების დამზადება, თიხით ძერწვა ან რამე ხელსაქმე, დაინტერესდეს კულინარიით, მეზაღობით, კონსტრუქტორებით. აქ, რა თქმა უნდა, ძალდატანება შეუძლებელია, უბრალოდ, შეგვიძლია, ბავშვს ვაჩვენოთ და ავუხსნათ სხვადასხვა საქმიანობა და თვითონ აირჩიოს სასურველი. ეს ყველაფერი ინტერესებისა და თვალსაწიერის გაფართოების პროცესია.
  5. **წიგნის კითხვა** – თუ ბავშვისთვის წიგნების კითხვის სიყვარული და ინტერესი აქამდე არ გისწავლებიათ, მაინცდამაინც ზაფხულის არდადეგებზე წიგნებით დაინტერესება შეიძლება სულაც არ მოინდომოს. წიგნების არჩევისას არ დაგავიწყდეთ, რომ მაღაზიასა თუ ბიბლიოთეკაში არა მხოლოდ მისთვის შეარჩიოთ წიგნი, არამედ თქვენთვისაც, ბავშვები ხშირად მიბაძვით იმეორებენ ქცევას. კლასგარეშე ლიტერატურის საკითხავად ზაფხული საუკეთესო პერიოდია.
  6. **არა ძალდატანება** – თუ ბავშვს უბრალოდ დასვენება უნდა, მიეცით საშუალება, დაისვენოს, მაგრამ ზოგჯერ უმოქმედოდ შეიძლება იმიტომ იყოს, რომ მოკლებულია საინტერესო საქმიანობას.
  7. **არა მოწყენა** – თუ მეგობრები დასასვენებლად წავიდნენ, სკოლაც დამთავრდა, ბავშვი მარტოა და ზაფხულის მანძილზე ქალაქგარეთ წაყვანა ვერ შეძელით, ის აუცილებლად მოიწყენს, ამიტომ შეეცადეთ, საინტერესო საქმიანობის პოვნაში მიეხმაროთ, დაგეგმეთ ერთობლივი აქტივობები, ხელი შეუწყვეთ, შეიძინოს ახალი მეგობრები, გაუჩნდეს ჰობი.

# თავი IV ქვევის ჰომიტიური მართვის სტრატეგიების გამოყენება


## სახურველი აქტივობის არჩევანის უფლება და აქტივობების ბალანსი


მშობლები ხშირად მიმართავენ ფსიქოლოგს იმის თაობაზე, რომ ბავშვი ზოგჯერ ძალიან მიეჯაჭვება ხოლმე ერთ რომელიმე აქტივობას და უჭირს სხვა აქტივობაზე გადართვა, მაგალითად, დიდხანს თამაშობს ქვიშაში და არ ხატავს, ან დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან ატარებს და წიგნებით არ ინტერესდება და ა. შ.

„ჩემი შვილი მთელ დღეს კომპიუტერთან ატარებს, იმდენი წიგნი ვიყიდე, ვეხვეწები, მოდი, წაგიკითხავ-მეთქი, მაგრამ არ მიჯდება გვერდით“;

„ჩემი შვილი მთელი დღე ეზოშია, ვთხოვ, რომ ამოვიდეს, მაგრამ სახლში ვერ შემოვიყვანე, სულ გარეთაა, ვპირდები ხოლმე, რომ ამოსვლის სანაცვლოდ რამეს ვუყიდი და მხოლოდ მაშინ მიჯერებს“;

„ჩემი შვილი თუ საქანელაზე დავსვი, შემდეგ მისი იქიდან წამოყვანა ძალიან მიძნელდება, მიწვეს, ძალით წამოვიყვანო, ტირის, ისტერიკებს მართავს, ამიტომ საქანელებზე საერთოდ აღარ გამყავს“;





„დილით გაიღვიძებს თუ არა, სააბაზანოში შერბის, ონკანს უშვებს და საათობით შეუძლია წყალთან ითამაშოს, ძალიან დიდ ძალისხმევად მიჯდება მისი იქიდან გამოყვანა. ასე თუ გაგრძელდა, წყლის გადაკეტვა მოგვიწევს სახლში“;

„ციფრების ცნობა მინდა ვასწავლო, უკვე 4 წლისაა, მოძრავი ციფრების ლოტო გვაქვს, მაგრამ არ მისმენს, როცა ვუხსნი, სულ ჩემი მობილურით ერთობა, მთელი დღე მობილური შეუძლია ეჭიროს ხელში“;

- ▶ მშობლები ხშირად ჩივიან, რომ მათ შვილებს შეიძლება მხოლოდ ერთი აქტივობა ჰქონდეთ აკვიატებული და თითქმის მთელი დღე იმით იყვნენ დაკავებული;
- ▶ ამასთან დაკავშირებით მშობლები ასევე ნუხილს გამოთქვამენ, რომ მათ უძნელდებათ, აიძულონ ბავშვი, შეწყვიტოს ერთი აქტივობა. ამ დროს ცდილობენ, გამოიყენონ ხვეწნა, მუქარა, ტყუილი შეპირება, ნოტაციების კითხვა, რაც არასწორი სტრატეგიაა, რადგან შესაძლოა სხვა სირთულეების გამოვლენას შეუწყოს ხელი, მაგალითად, თუ მშობელი ხშირად იყენებს დაშინებას, ბავშვს შეიძლება დაეწყოს ლამის შიში, გახდეს დაურწმუნებელი, დაუქვეითდეს თვითშეფასება.

ზოგადად, როდესაც ბავშვებს ვუკრძალავთ იმას, რაც მისთვის იმ დროს სასიამოვნოა და ვეუბნებით: „გეყოფა“, „შეწყვიტე“, „ნუ აკეთებ“, ეს იწვევს ბავშვის განრისხებას, გაჯიუტებას, შესაბამისად, მასში ნეგატიურ რეაქციებს ვინვევთ, ამასთან ჩვენთვის სასურველი შედეგი მხოლოდ მყისიერია, უმეტესად ძალადობის გზით მიღწეული, რომელსაც ხანგრძლივი ეფექტი არ აქვს.

ამიტომ იმისთვის, რომ ბავშვისთვის დღის მანძილზე შესასრულებელი აქტივობები მრავალფეროვანი იყოს, მნიშვნელოვანია სწორი

დღის განრიგის მენეჯმენტი. მშობელმა ჯერ უნდა დათვალოს და აღწეროს, რას აკეთებს ბავშვი მთელი დღის მანძილზე, ხოლო შემდეგ დაამატოს მასში სასურველი აქტივობები და ეს ყველაფერი სახალისო, საინტერესო და მნიშვნელოვან გამოწვევად აქციოს ბავშვისთვის.

### **ამ ყველაფრის პრაქტიკულად განხორციელების მეთოდს ქვემოთ გთავაზობთ:**

#### **პირველი ეტაპი – იმ აქტივობების სიის შედგენა, რომლებითაც დღის განმავლობაში დაკავებულია ბავშვი**


**დაფიქრდით, გაიხსენეთ, ჩამოწერეთ:** მშობელს ვთხოვ, ჩამოწეროს ყველა ის აქტივობა, რომელთა შესრულება უწევს ბავშვს მთელი დღის მანძილზე, მაგ., ეს შეიძლება იყოს: კვება, ჰიგიენური პროცედურების შესრულება, კომპიუტერთან თამაში, მულტიმედიის ყურება, მანქანით თამაში, გაფერადება და ა. შ.

#### **მეორე ეტაპი – აქტივობების სიის დაზუსტება**

**დააკვირდით ბავშვის დღის განრიგს:** მშობელთან ვთანხმდები, რომ ეს ჩამონათვალი შეიძლება არასრული იყოს. შესაბამისად, ვთხოვ, რომ სახლში დააკვირდეს ბავშვის განრიგს და შესაძლოა აღმოაჩინოს, რომ უფრო მეტი აქტივობითაა გაჯერებული ბავშვის დღე, ან პირიქით, სულ არ ხორციელდება ისეთი აქტივობები, რომლებიც მან ჩამოწერა.

#### **მესამე ეტაპი – სასურველი აქტივობების ამსახველი ვიზუალური ბარათები**

**ბარათების შექმნის პროცესი:** მშობელი ბავშვთან ერთად ამზადებს ბარათებს, რომლებზეც დაწებებულია იმ აქტივობების ამსახველი სურათები, რომლებსაც ბავშვი ახორციელებს დღის მანძილზე, ასევე ის აქტივობები, რომლებსაც, მშობლის აღნიშ-





ვნით, ბავშვი იშვიათად ახორციელებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, ჩაერთოს დღის რუტინაში.

ამ ბარათების შექმნა ეფუძნება თეორიას, რომ 2-იდან 7 წლის ასაკის (ან არათანაბარი ინტელექტუალური განვითარების) ბავშვები ინსტრუქციებს მაშინ უფრო მეტად აღიქვამენ და იაზრებენ, როდესაც მითითება მოცემულია ვიზუალური ხატის სახით – სურათებით, რადგან მათი აზროვნება ამ ასაკში უფრო თვალსაჩინო წარმოდგენებითაა განპირობებული, ვიდრე აბსტრაქტულითა და ჰიპოთეზურით.

### **მესამე ეტაპი ყველაზე საინტერესო და შემოქმედებითი პროცესია. აქტივობების ამსახველი ვიზუალური ბარათების შექმნა შეიძლება კრიტიკულად უწყობა:**


- ▶ მშობელი (შესაძლებელია ამ პროცესში ჩაერთოს ორივე მშობელი და ოჯახის სხვა წევრები) ბავშვთან ერთად ქრის, აფერადებს, ანებებს სხვადასხვა აქტივობის ამსახველ სურათებს;
- ▶ ბავშვს უთანხმებს, რომ დღის მანძილზე, სასურველია, ამ ბარათებზე გამოსახული ყველა აქტივობა შეასრულოს. თითოეულის შესრულების შემდეგ ბარათს ერთი კონვერტიდან მეორეში გადაიტანს;

**კომენტარი:** კონვერტების (ან ყუთების) გარდა შეიძლება სხვა სახალისო რესურსების გამოყენება, მაგალითად, პირობითად „**ნითელი ქუდი**“ შესასრულებელი აქტივობების ბარათების შესანახი სათავსი იქნება, ხოლო „**ლურჯი ქუდი**“ – უკვე შესრულებულის;

- ▶ მნიშვნელოვანია, რომ ბარათები ძალიან ბევრი არ გამოვიდეს, ასევე მოიცავდეს, როგორც ისეთ აქტივობებს, რომლებიც ბავშვისთვის ჩვეულია, ისე ახალსაც;

- ▶ დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ის აქტივობები, რომლებიც ბავშვმა უკვე ისწავლა ან მობეზრდა, სხვა ახალი უნარ-ჩვევების ასათვისებელი აქტივობებით ჩანაცვლდეს (მაგ., დიდი ფორმატის ასოების გამოჭრა ასოების გამონერის აქტივობამ ჩანაცვლოს);
- ▶ დაუშვებელია მხოლოდ იმ აქტივობების შერჩევა, რომლებიც მშობელს მიაჩნია სავალდებულოდ და მეტ ძალისხმევას მოითხოვს ბავშვისგან. ბავშვმა თავისუფალი დროის გატარების დაგეგმვაც უნდა ისწავლოს, ამიტომ რეკომენდებულია, მაგალითად, 6 აქტივობიდან 3 ისეთი იყოს, რომელიც მეტ ძალისხმევას მოითხოვს ბავშვისგან, ახალი და რთულია, ხოლო დანარჩენი სამი – ისეთი, რომელიც ბავშვს აინტერესებს და ისედაც ხალისით აკეთებს, მაგ., მანქანებით თამაში. ასეთ შემთხვევაში ბავშვს უფრო მეტად გაუჩ-





ნდება ახალი აქტივობების შესრულების სურვილი, რადგან დარწმუნდება, რომ მისი ინტერესები იგნორირებული არ არის და მშობელი პატივს სცემს მის სურვილებს.

### **გაითვალისწინეთ:**


- ▶ სასურველია, აქტივობების კრებული საშუალოდ 6 იყოს;
- ▶ არ არის საჭირო, ყველა აქტივობა შევიტანოთ ჩამონათვალში, ჯობია, შეირჩეს ახალი და სასურველი და დამატებით შენარჩუნდეს ძველი და ჩვეულიც;
- ▶ როდესაც დროთა განმავლობაში ახალი აქტივობების შესრულება განმტკიცდება, ცხრილი უნდა შეიცვალოს. შესაძლოა, ახლა ახალი გამოწვევების წინაშე დადგეთ და სურათები სხვა მნიშვნელოვანი აქტივობებით ჩავანაცვლოთ, მაგ., ასობის გამოჭრა – წიგნის კითხვით ან ტულეტის მოხმარება – ბანაობით.
- ▶ მნიშვნელოვანია, ყოველი აქტივობის შესრულება წახალისდეს შექებით;
- ▶ აქტივობების შერჩევის დროს ჩართული უნდა იყოს ბავშვი. სთხოვეთ, დაასახელოს, რას აკეთებს ხალისით, რას არ აკეთებს და მშობლები/უფროსები მოითხოვენ მისგან;
- ▶ აქტივობები ასაკის შესაბამისი უნდა იყოს და არ არღვევდეს ბავშვთა უფლებების კონვენციას (მაგ., 5 წლის ბავშვი არ უნდა დავავალდებულოთ, ცივი წყლით დაიბანოს ხელები ზამთარში, ან ზედამხედველობა გაუწიოს დიდი ხნით მცირეწლოვან ბავშვს; ასევე დაუშვებელია, ბავშვის განვითარების თავისებურებების გათვალისწინების გარეშე დავგეგმოთ აქტივობა, მაგ., თუკი 5 წლის ასაკში ბავშვი ჰიპერაქტიურობით გამოირჩევა, ნუ სთხოვთ მას წერის აქტივობის შესრულებას 15 წუთზე მეტ ხანს).

## სახურველი ქვევის შექება ნაცვლად არასახურველი ქვევის ურიტიხისა

როდის არის გამართლებული ბავშვის ქცევის იგნორირება და რა შედეგები მოაქვს მას: უარყოფითი თუ დადებითი? როგორ დაიცვას მშობელმა ბალანსი ბავშვის არასასურველი ქცევისა და სასურველი ქცევის იგნორირებას შორის? ქვემოთ ლაპარაკია იმაზე, რომ ხშირი და უსაფუძვლო შენიშვნები უარყოფითად აისახება ბავშვის ქცევაზე და რეკომენდებულია, მშობელმა შეამციროს შენიშვნები, სასურველი ქცევის გამოვლენის დროს კი არ დააყოვნოს შექება.

გამოკითხვა ჩავატარე და აღმოვაჩინე, რომ ამაზე არავის უფიქრია. გამოკითხე 20 მშობელი. ვეკითხებოდი: რას აკეთებთ იმისთვის, რომ თქვენს შვილს ნაკლები შენიშვნა მისცეთ დღის მანძილზე? თუ დაგივლიათ, რამდენი შენიშვნა მიეცით დღის, კვირის მანძილზე? მშობლების 70% თვლიდა, რომ შენიშვნის მიცემა ეფექტურია, ის ამცირებს არასასურველ ქცევებს და ზრდის ბავშვის წარმატებას. მათგან 50%-ს მიაჩნდა, რომ შენიშვნა კორექტული უნდა იყოს, არ იყოს შეურაცხმყოფელი. 30% თვლიდა, რომ შენიშვნა არის სწორედ ის უწყინარი ფაქტორი, რომელიც ბავშვის ფიზიკურ შეურაცხყოფას გამორიცხავს, ამიტომ მათი შემცირების ხარჯზე მშობელს სხვა მეთოდებისა და საალმზრდელო სტრატეგიების ძებნა მოუწევს, რომლებიც შესაძლოა რთულად გამონახოს. ზოგადად, ჩემ მიერ გამოკითხული მშობლების უმრავლესობამ ჩათვალა, რომ შენიშვნის კორექტულად მიცემა (მითითება) პოზიტიური აღზრდის გამარ-





თლებული სტრატეგიაა. თუმცა ამავდროულად აღნიშნავდნენ, რომ, სამწუხაროდ, სასურველი შედეგები შენიშვნების მიცემის კვალდაკვალ არ იზრდება. მაშინ რა არის გამოსავალი, როგორ მოიქცეს მშობელი?

**როგორია რეალობა:** მშობლები, აღმზრდელები, მასწავლებლები ბავშვს შენიშვნას უმეტესად არასასურველი ქცევის გამო აძლევენ, ხოლო იმ დროს, როდესაც ბავშვი სასურველ ქცევას ავლენს – ყურადღებას არ აქცევენ.

მოდით, ჩავატაროთ ექსპერიმენტი და ვცადოთ პირიქით:

**არ მივცეთ შენიშვნა არასასურველი ქცევის გამო და შევაქოთ სასურველი ქცევის გამო.**

აღმოჩნდა, რომ ეს უფრო რთული შესასრულებელია მშობლისთვის, მეტ ძალისხმევას, ენერგიასა და მოთმინებას მოითხოვს. იმ არასასურველი ქცევის იგნორირება, რომელიც მათთვის მიუღებელია, როგორც წესი, მშობლებს უფრო მეტად უძნელდებათ.

**თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგნორირება გაუმართლებელია კონკრეტულ შემთხვევებში:**

- ▶ არასოდეს დატოვოთ ბავშვის ქცევა უყურადღებოდ, თუ ის ზიანს აყენებს სხვა ადამიანს, ცხოველს, ანადგურებს ნივთებს;
- ▶ არასოდეს გაუკეთოთ იგნორირება ბავშვის ქცევას, თუ ის იზიანებს საკუთარ თავს;
- ▶ იგნორირება დაუშვებელია, თუ ირღვევა უსაფრთოხება.

იგნორირება გამართლებულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი მშობლის ყურადღების მიქცევის მიზნით ავლენს არასასურველ ქცევებს. უმეტესწილად ეს მაშინ ხდება, როდესაც მშობელი და-


დებითი უკუკავშირით არ პასუხობს ბავშვს, როდესაც მისი ქცევა სასურველი და მისაღებია. ზოგჯერ ბავშვის ეს მიდრეკილება განმტკიცდება ხოლმე, რადგან ასეთ შემთხვევებში ბავშვები არასწორად სწორედ ყურადღების მიქცევის მიზნით იქცევიან.

აღმოჩნდა, რომ მშობლების ხშირი და უსაფუძვლო შენიშვნები საპირისპირო შედეგს იწვევს. ამის მაგალითი ერთ-ერთ საბავშვო გასართობ მოედანზე სულ 30 წუთის მანძილზე ყოფნისას საკმაოდ ბევრი დავაფიქსირე:

- არ მოკიდო ხელი!
- ძირს ნუ ჯდები!
- მალლა ნუ ძვრები!
- გამოდი!
- არ ახვიდე!
- არ ჩამოხვიდე! - ისმოდა მშობლებისგან მთელი ნახევარი საათის მანძილზე.

### **აღმოჩნდა, რომ ასეთი შენიშვნებს ძალა არ აქვს შემდეგი მიზეზების გამო:**

- ▶ ძალიან ზოგადია, არ არის დაკონკრეტებული ქცევა და შედეგი;
- ▶ ეწინააღმდეგება ბავშვის სურვილს. მას კიბეზე ასვლა, აძრომა უნდა, დედა შიშობს, რომ ჩამოვარდება, ამიტომ ეძახის: „არ ახვიდე“, მაგრამ ბავშვი მაინც ადის;
- ▶ ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ფრაზა, რომელიც ამკრძალავი სიტყვით („არ“, „ნუ“) იწყება, უშედეგოა, ამიტომ ნაცვლად ამკრძალავი ფორმულირებით დანყებული ფრაზისა, ჯობს, ბავშვს პირდაპირ ვუთხრათ დადებითი ფორმულირებით, რა არის მისაღები ქცევა, შესაბამისად, „არ ახვიდეს“ მაგივრად, მაგალითად, მივუთითოთ საქანელაზე და ქანაობა შევთავაზოთ:



„მოდის, საქანელაზე დაგსვა“, ანუ მიუფითით იმ სასურველ ქცევაზეც, რომელიც გვინდა, რომ განახორციელოს, შევთავაზოთ ჩანაცვლება პოზიტიურად ფორმულირებული ფრაზით.

„თბილისში, კორპუსებს შორის, ეზოებში ბევრგან არის მონყობილი სათამაშო მოედნები. სალამოს სამსახურიდან დაბრუნებული, ნიტასთან ერთად ერთ-ერთ ასეთ მოედანზე მივდივარ. აქ არის საქანელები, ასაცოცხებელი კედელი, სასრილო, ასაძრომი კიბეები, სხვადასხვა გასაძრომი და გადასახტომი მონყობილობები.

ნიტა ასაცოცხებელ კედელზე ცდილობს ასვლას, თუმცა ამკარაა, რომ ეს მისი ასაკის შესაბამისი ჯერ არ არის, ფეხი უვარდება, ვშიშობ, ნიკაპი არ ჩამოარტყას, მაგრამ ამკრძალავი შენიშვნების ნაცვლად, პირდაპირ ვთავაზობ სასრილოს აქტივობას. ხალისით მთანხმდება. აუცილებლად ვაქებ, რომ მოხერხებულად აძვრა კიბეზე, გადაძვრა სასრილოზე და წარმატებით ჩამოსრილდა.


შექებამ გაჭრა და იმავე აქტივობას რამდენჯერმე იმეორებს, შემდეგ ისევ ასაცოცხებელ კედელთან გარბის. ვეუბნები, რომ ეს უფრო დიდი ასაკის ბავშვებისთვისაა, რომლებიც დიდ ნაბიჯებს დგამენ, გამოვთქვამ იმედს, რომ მომავალ წელს აუცილებლად შეძლებს (აკრძალვის დასაბუთება და ოპტიმისტური განწყობა ანეიტრალებს ბავშვების გულისწყრომას).



ამის საპირისპირო და უშედეგო, გაუმართლებელი უკუკავშირის მაგალითი იქნებოდა ის, რომ შენიშვნა მიმეცა ასაცოცხებელ კედელთან დაკავშირებით, გადავსულიყავი ხვეწნაზე, მუქარაზე, შეშინებაზე, რაც, სამწუხაროდ, სასურველი ქცევის გაზრდის ალბათობას შეამცირებდა სამომავლოდ“.

### **შესაბამისად:**

- ▶ შეამცირეთ შენიშვნები, თუ ბავშვის ქცევა საგანგაშო და მწვავე არ არის;
- ▶ თუ მაინც გადანყვეთ შენიშვნის მიცემას, დააკონკრეტეთ ფრაზა;
- ▶ შენიშვნის მიცემისას გამოიყენეთ ახსნა და დასაბუთება;
- ▶ გამოიყენეთ ეფექტური ჩანაცვლება, შეეცადეთ, ჩართოთ ბავში იმ აქტივობაში, რომელიც სასურველი და მისაღებია. შესაძლოა, ეს იყოს საპირისპირო ან სხვა მსგავსი ქცევა (მაგალითად, თუ ბავშვს აბაზანიდან ამოსვლა არ უნდა, ნაცვლად დირექტივისა: „ამოდი აბაზანიდან“, პირდაპირ სასურველი და სხვა აქტივობა შესთავაზეთ: „ამოდი და მულტფილმს ვუყუროთ“ ან „ამოდი და სადილი მოვამზადოთ“ – შესთავაზეთ მზარეცეპტი – ჩამნაცვლებელი აქტივობის სახით);
- ▶ რაც მნიშვნელოვანია, ნახალისეთ სასურველი ქცევა! ამით ბავშვი ყურადღების მიქცევის მოთხოვნილებას ეფექტურად და პოზიტიურად დაიკმაყოფილებს;
- ▶ შეეცადეთ, სასურველი ქცევის გამოვლენა ან/და გამოვლენის მცდელობა არასოდეს დატოვოთ უყურადღებოდ.





## წახალიხება და შექება მრდის ხასურველი ქვევის შედეგებს

ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გარემომყოფების, განსაკუთრებით კი მშობლების სიტყვიერი უკუკავშირი და სწორი და დასაბუთებული შექება, რათა მან ხშირად გამოავლინოს სასურველი ქცევა, გახდეს უფრო თავდაჯერებული და წარმატებული. ქვემოთ ლაპარაკია იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია, მშობელმა გამოიყენოს შექება და აკონტროლოს სწორი უკუკავშირის ტექნიკები.

– გამარჯობა, ხემა შეგიძლია ძალიან გაფანტულია. აქ გულისხმობს. სწორად თუ არა არის დარწმუნებული, გულისხმობს, რომ იმაზე მეტი იქნება, ვიდრე ამბობს და ავლენს რეალურ ქცევებს. ბავშვს უნდა მოაყვას დაწყებული საქმიანობა, ძალიან განუცხადო ამის გამო, არ მინდა, რომ სხვებზე ცუდი გამოხდეს.

ასეთი წუხილით მომმართა ერთ-ერთმა მშობელმა და მთხოვა, დაეხმარებოდი.


მშობელს ვთხოვე, მოეყოლა, რა არის ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები. მან აქცენტი ბავშვის სუსტ მხარეებზე გააკეთა, ძირითადად ლაპარაკობდა იმაზე, რა არ გამოსდის კარგად ბავშვს, რა შეცდომებს უშვებს და ნაკლები ყურადღება გაამახვილა მის ძლიერ მხარეებზე.


ბოლოს ვკითხე: „რა არის თქვენი მოლოდინი, რა გინდათ, რომ აკეთოს ხშირად, რამდენად ხშირად გიმართლდებათ ეს მოლოდინი, გაიხსენეთ, როდის განახორციელა თავისთვის და თქვენთვის მისაღები ქცევა?“. მშობელმა შეძლო ამგვარი მაგალითების გახსენებაც. შემდეგ ვკითხე: „თქვენ როგორ მოიქცით ამ დროს?“, მპასუხობს: „რა უნდა მექნა, არაფერი, ეს ხომ ისედაც ბუნებრივია, ისედაც ხომ ცნობილია, რომ ასე უნდა მოქცეულიყო, ზედმეტი აფეხმართა რა საჭიროა, არასოდეს არ ვაქებ, პირიქით, ვცდილობ კრიტიკული ვიყო“.

### **უშეატყადა, სწორად ნახალისება და შექება ზრდის სასურველი ქცევის სიხშირეს, ხოლო იბნორიება, პირიქით, ამცირებს სასურველ ქცევას.**

შესაბამისად, ბავშვთან მუშაობის პარალელურად ვინცებ მუშაობას მშობელთან და ვთავაზობ მას, ანარმოს თვითდაკვირვების ცხრილი კვირის დღეების მიხედვით. ვუთანხმდები, რომ დააკვირდეს ყოველდღიურად ბავშვის ქცევას და გაზარდოს სასურველი ქცევების შექება, თუმცა ყველაზე საინტერესო და რთული პროცესი შექების, დადებითი უკუკავშირის მიცემის ხელოვნებაა, რადგან შექება ეფექტური რომ იყოს, საჭიროა შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

- 1. დაკვირვება, აღმოჩენა, აღიარება.** ზოგჯერ ბავშვის დადებითი ქცევა მშობლისთვის თითქოს შეუმჩნეველია: ის ვერ ხედავს მას ან მიაჩნია, რომ ჩვეულებრივი მოვლენაა, რასაც დამატებითი აღნიშვნა არ სჭირდება. რეალურად ქცევას ყოველთვის ჰქონდა წარსულში პოზიტიურად გამოვლენის მცდელობა, მაგრამ გარშემომყოფებმა ის ვერ შეამჩნიეს და დაიკარგა, არ განმტკიცდა. შესაბამისად, იმისთვის, რომ სასურველი ქცევები არ დაიკარგოს და განვითარდეს, მნიშვნელოვანია, მშობლის დაკ-





ვირვებული თვალი ხშირად ხედავდეს მათ და აღიარებდეს მის გამოვლინებებს.

**2. სასურველი ქცევისა და ქცევის მცდელობის შედეგად.** შესაძლებელია არა მხოლოდ სრულად გამოვლენილი ქცევის, არამედ თავდაპირველ ეტაპზე მისი მცირე მცდელობის ნახალისებაც. შეიძლება, ბავშვს ჯერ არ ჰქონდეს ესა თუ ის უნარი სრულად განვითარებული, ამიტომ მისი ყველა მცდელობა, შესაძლოა, წარმატებით არ დამთავრდეს, მაგრამ მისი ძალისხმევის, მონდომების აღნიშვნა და დეტალის შექმნაც ძალიან ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს ამ ქცევის სრულფასოვანი განვითარებისთვის.

**3. შედეგისა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს თვითონ ის ქცევა, რომელსაც ვაჟები და არა ზოგადად პიროვნება.** აღმოჩნდა, რომ ძალიან ეფექტურია დასაბუთება, რატომ ვაქებთ ბავშვს. მაგალითად, გამოიყენეთ ფრაზა: „მე მომწონს, რომ შენ ცდილობ, გააფერადო კონტურებში ნახატი“, ნაცვლად ფრაზისა: „რა კარგი გოგო ხარ“, „კარგი ნახატი“. ხოლო კრიტიკა და შენიშვნა ამ შემთხვევაში გამართლებული არ იქნება, მაგ., „ძალიან გადადიხარ კონტურებზე, ეს რა არის?“ – ამგვარი უკუკავშირი საერთოდ დაუქვეითებს ბავშვს ამ საქმიანობის წარმატებით შესრულების მოტივაციას.


მას შემდეგ, რაც მშობელს მსგავს საკითხებზე ვესაუბრები, ასევე ვცდილობ, ბევრი რამ ვათქმევინო თავის შვილზე და გავახსენებინო წარმატებული მაგალითები, გადავივივარ პრაქტიკულ საკითხზე: კონკრეტულად ვთავაზობ მშობელს ამ ცხრილის შევსებას და განვუმარტავ შევსების ყველა პროცედურას:

### სამიზნე (სასურველი) ქცევები

- ▶ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, დასრულება
- ▶ ინიციატივის განხორციელება

კვირის დღეები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
შევაქე ბავშვის სასურველი ქცევა							
წავახალისე სასურველი ქცევის გამოვლენა ან გამოვლენის მცირე მცდელობაც კი							
შექებისას დავუსაბუთე, რომელი ქცევისთვის ვაქებდი							

მშობელს ვუთანხმდები, რომ მომდევნო ერთი კვირის მანძილზე ეცდება, გამოიყენოს ის 3 თეორიული კრიტერიუმი, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი (1. დაკვირვება, აღმოჩენა, დანახვა; 2. სასურველი ქცევისა და ქცევის მცდელობის შექება; 3. შექებისას იმ ქცევის აღნიშვნა, რომლისთვისაც ვაქებთ), ხოლო მოცემულ ცხრილში დაწეროს შესაბამისი აღნიშვნები, თუკი შეძლებს, რომ: 1. შეაქოს ბავშვის სასურველი ქცევა; 2. წაახალისოს სასურველი ქცევის გამოვლენა და მისი მცირე მცდელობაც კი; 3. შექებისას დაასაბუთოს, რასახის ქცევას აქებს კონკრეტულად.





ამასთან, შეამციროს კრიტიკა, რადგან წარუმატებლობის შიში სწორედ ზედმეტი კრიტიკული შენიშვნების მოსმენის შემდეგ ყალიბდება და ვითარდება.

მშობელს ვემშვიდობები და ვეუბნები, რომ მისი ქცევა პირდაპირ კავშირშია მისი შვილის წარმატებასთან, ვამედებ და მომავალ ვიზიტს ვუთანხმებ.

აქვე მინდა გაგიზიაროთ, რომ აღნიშნული შემთხვევა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა: მშობელმა სულ უფრო მეტი წარმატებული ქცევა აღმოაჩინა თავის შვილში, ბავშვიც უფრო თავდაჯერებული და წარმატებული გახდა.


ერთი კვირის შედეგ								
გმოვლის მიერ წარმოდგენილი ცხრილი ასე გამოიყურებოდა								
კვირის დღეები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	
შევაქე ბავშვის სასურველი ქცევა				V		V	V	
წავახალისე სასურველი ქცევის გამოვლენა ან გამოვლენის მცირე მცდელობაც კი			V		V	V		
შექებისას დავუსაბუთე, რომელი ქცევისთვის ვაქებდი								

**ერთი თვის შედეგა**  
**მშობლის მიერ წარმოდგენილ ცხრილში შედეგები გაიზარდა**

კვირის დღეები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
შევაქე ბავშვის სასურველი ქცევა	✓	✓	✓	✓✓		✓	✓
წავახალისე სასურველი ქცევის გამოვლენა ან გამოვლენის მცირე მცდელობაც კი	✓	✓✓	✓✓		✓	✓✓	✓✓
შექებისას დავუსაბუთე, რომელი ქცევისთვის ვაქებდი	✓	✓✓	✓✓			✓✓	✓✓

თუმცა ჩნდება კითხვა: როდემდე უნდა გააგრძელოს მუშაობა მშობელმა ამ სტრატეგიით? პასუხი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- 1. სწირ შემთხვევაში ეს ინდივიდუალურია** – პირველ რიგში, ამ სტრატეგიით მუშაობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. თუ ბავშვს დასწავლილი აქვს ე. წ. წარუმატებლობის შიში, მაშინ შეიძლება დრო გახანგრძლივდეს; ზოგ შემთხვევაში კი, შეიძლება, ერთი ან ორი ჩარევა საკმარისი იყოს;
- 2. რაოდენობა რაციონალური და პრაგმატული უნდა იყოს** – ზოგადად, მნიშვნელოვანია, მშობელმა გააცნობიეროს, რომ აღზრდის ეს სტრატეგია – პოზიტიური უკუკავშირი და წახალისება – ხშირად, მაგრამ რაციონალურად უნდა გამოიყენოს,



რადგან შექების უადგილო, არაპრაგმატული გამოყენება უფერულს ხდის მას;

**3. ნახალისდეს ახალი ქცევები** – მშობელმა უნდა გამოიმუშაოს ერთგვარი ჩვევა, რომ პოზიტიური უკუკავშირი ხშირად მიანოდოს ბავშვს ახლად შექენილ ქცევებზე.

შესაბამისად, ის სამიზნე ქცევები, რომლებიც უკვე მიღწეულია, ბოლოს აღარ არის მთავარი ორიენტირი მშობლისთვის. რამდენადაც განვითარება მუდმივი და განახლებადი პროცესია, ყოველთვის მოიძებნება ახალი ქცევები, რომელთა ნახალისებასა და ჩამოყალიბებაზეც უნდა ვიზრუნოთ.




## ხშირად გაეახართ ბავშვები

მეგობრები ყავის დასალევად შევიკრიბეთ. ვსაუბრობთ სხვადასხვა თემაზე და მათ შორის ბავშვებზე, შვილებზე, როგორები არიან ისინი: ცელქები, ჭკვიანები, ჯიუტები თუ დამჯერები.

- ჩემი შვილი ისეთი ცელქია, ზოგჯერ მგონია, სპეციალურად ჯიუტდება, რომ წყობიდან გამომიყვანოს.
- როცა ტელეფონზე ვლაპარაკობ, ზუსტად მაშინ ველარ იყოფენ სათამაშოებს და არის ერთი ამბავი...
- ბევრი ლექსი იცის, მაგრამ კლასის თანდასწრებით ხმას არ იღებს.
- ღამე ძლივს ვაძინებ, სწორედ ძილის წინ იწყებს ხტუნვას და ოთახებში სირბილს, ზოგჯერ ტირის ან ყვირის, კომპიუტერის თამაშს ან ჭამას ითხოვს.

ჩვენ ბევრს ვნერვიულობთ იმაზე, რომ ყველაფერი სტანდარტებში არ ჯდება, ბავშვის ქცევა უდავო ჭეშმარიტებას თუ არ მიუახლოვდა, ვინცებთ განსჯას, გამოსავლის ძიებას. საკითხის მოსაგვარებლად რა ხერხს არ მივმართავთ, ძალიან გვინდა, იდეალს დავამსგავსოთ.

იდეალური ქცევის ჩამოყალიბების გზაზე ზოგჯერ ჩვენ თავად ვატყუებთ ბავშვებს. მაგალითად, ოღონდ ეს წვნიანი ჭამოს ბოლომდე და რას არ ეუბნება მშობელი: „არ შეჭამ და როცა გაიზრდები, ლამაზი არ იქნები“, „ჭამე, თორემ პატრული წაგიყვანს“, „ჭამე და ისეთი სათამაშო უნდა გიყიდო, არნახული“...





ჩვენ ხშირად გვაფიქვდება, რომ ფიზიოლოგიურ განვითარებაზე არანაკლები ემოციური განვითარებაა. რა არის ემოციური განვითარება? ემოციების გამოხატვა ადამიანის თანდაყოლილი უნარია, თუმცა გარემოსა და გარშემომყოფ ადამიანებზე ბევრია დამოკიდებული, თუ როგორ სტიმულს გაუშვებენ ბავშვისკენ და საპასუხოდ რომელ ემოციას გამოიწვევენ მისგან. შესაბამისად, სიხშირის

გრაფიკი შეგვიძლია ავაგოთ დაკვირვების საფუძველზე, რომელ ემოციებს გამოხატავს ბავშვი ყველაზე ხშირად. მაინც რომელი ემოციების გამოვლენას ვუნწყობთ ხელს მთელი დღის მანძილზე, როგორი სტიმულები მიდის ჩვენგან? დღეს ბავშვმა შიში, სიხარული, სევდა თუ ბრაზი გამოხატა – რა იყო ამის წინაპირობა ჩვენგან, რა გავაკეთეთ ისეთი, რომ მასში სიხარული გამოვიწვიეთ, რამდენჯერ გავახარეთ დღეს ბავშვი, გავალიმეთ, გავაცინეთ, ბედნიერება განვაცდევინეთ.


**პრობლემა:** ბავშვები ზოგჯერ უფროსის ყურადღების მისაქცევად იქცევიან „ცუდად“. შეიძლება ჩვენ გამოგვჩა მისი შექება იმ დროს, როცა ისედაც კარგად იქცეოდა – მშვიდად აწყობდა ფაზლს, ხატავდა ან სუფთად ჭამდა.

**რეკომენდაცია:** შეაქეთ ბავშვი, თუ კმაყოფილი ხართ მისი ქცევით, ნუ ჩათვლით, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მისთვის ყურადღების მიქცევა დადებით ქცევასთან დააკავშირეთ. ეს თავიდან აგარიდებთ უარყოფითი ქცევისა და ყურადღების მიქცევის თანხვედრას მის გამოცდილებაში.

**პრობლემა:** ბავშვი სევდიანი გეჩვენებათ ან აქვს შიშები, სიმორცხვე? ჩაკეტილია? ან პირიქით, ძალიან მოძრავია და დაუმორჩილებელი?

**რეკომენდაცია:** ხშირად შეუქმნით ისეთი სიტუაციები, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს, გაილიმოს, გააცინეთ და გამოიწვიეთ მასში ბედნიერების შეგრძნება.

**პრობლემა:** მთელი დღე ისე გავიდა, რომ ვერ მოიცალეთ დადებითი ემოციების გამოხატვისა და გაზიარებისთვის?



**რეკომენდაცია:** არც ახლაა გვიან, უმღერეთ ძილის წინ, მოუყევით ზღაპარს, ჩაეხუტეთ, აკოცეთ და უთხარით, რომ ძალიან გიყვართ. ადეკვატური და არგუმენტირებული შექება პიროვნული ფაქტორების განვითარებას უწყობს ხელს, ბავშვებში ვითარდება თვითრწმენა, რაც თვითგამოხატვაში ეხმარებათ. ხშირი დადებითი ემოციების განცდა მათ ბედნიერს ხდის, ასევე უყალიბებს პოზიტიურ დამოკიდებულებას სხვადასხვა საქმიანობის მიმართ.



